

სალომე ზურაბიშვილმა საყვედურები "ჩამოარიგა"

A2



აშშ-მ პატიმართა წამების წინააღმდეგ კანონი მიიღო

A3



ვინ მართავს ფოთს - ქალაქის მერი თუ „ნაციონალების" ლიდერი?!

A4


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 7 ოქტომბერი, 2005 წელი. №222 (1082)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### ანტისომხური პროვოკაციების მიზეზებს მასობრივ მიგრაციაში ეძებენ

"24 საათის" კორესპონდენტი სოხუმში ცდილობს, გაარკვიოს, რამ მისცა ბიძგი ანტისომხურ მოძრაობას გაგრაში.

A2

## ამბები

### საცირკო წარმოდგენის დროს მოსკოვის მერის 4 წლის შვილიშვილი დაიჭრა

მას პნევმატური პისტოლეტიდან გასროლილი ტყვია ხელში მოხვდა.

A2

## ამბები

### კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელი ცესკო-ს მუშაობით კმაყოფილია

ასლან ბაუჟაძე აცხადებს, რომ 1 ოქტომბერს ქობულეთში პარლამენტის შუალედური მაჟორიტარული არჩევნები დემოკრატიულად, კანონდარღვევების გარეშე ჩატარდა.

A2

## სამართალი

### "პარლამენტარის ყოფილი მეუღლე ოჯახური ძალადობის მსხვერპლია"

A5


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 7/10 | 8/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | 20 |
| ტყიბული | 13 | 12 |
| სოხუმი | 15 | 16 |
| გორი | 11 | 10 |
| ონი | 6 | 4 |
| ზუგდიდი | 18 | 17 |
| ახმეტა | 18 | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7960 |
| ევრო | 2.1485 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1700 |
| რუბლი | 0.0628 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ამბები | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| რეკლამა | A 8 |
| რევიუ | B 1 |
| ტენდერი | B 2 |
| TV პროგრამა | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# სტუმარს - ჩურჩხელა, გლეხებს - დაპირებები

პრეზიდენტების ვოიაჟი კახეთში

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კახელები უცხოელ სტუმარს პომპეზურად დახვდნენ და გააოცეს კიდეც. ლატვიის პრეზიდენტი ყველაზე მეტად საწნახელში ყურძნის ჩაწურვის პროცესმა და კახურმა ჩურჩხელამ გააკვირვა. ფრაიბერგა იმდენად ცნობისმოყვარე აღმოჩნდა, რომ, მიხეილ სააკაშვილის დახმარებით, ერთი ჩურჩხელაც ამოავლო.*

კახეთი, ლატვიის პრეზიდენტის სტუმრობამდე, ქვეყნის მეთაურმა მიხეილ სააკაშვილმა მოინახულა. იგი თავდაპირველად რეგიონის საოლქო პროკურატურის გახსნის ცერემონიალს დაესწრო, შემდეგ კი თელავის ღვინის მარანი დაათვალიერა და, მართალია, გვიან, მაგრამ "რთველი 2005-ის" მიმდინარეობასაც გადაავლო თვალი. მიხეილ სააკაშვილი წლევანდელი რთვლით კმაყოფილია და იგი მას "ვარდების მთავრობის" წარმატებას უწოდებს. სანიორეში, ვენახების ფონზე გამართულ პრესკონფერენციაზე, პრეზიდენტი ჟურნალისტებთან გამოტყდა, რომ მთავრობას წლევანდელი რთვლის ეშინოდა. **"წელს ყურძნის მოსავალი იმაზე მეტი იყო, ვიდრე შარშან და სწორედ ამის გამო ვშიშობდით და ვნერვიულობდით, თუ როგორ მოგვეხდინა გლეხის მოსავლის რეალიზაცია, მაგრამ მთელმა რიგმა ნაბიჯებმა და ბრძოლამ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ აღნიშნული პრობლემის დაძლევა მოგვახერხებინა,"** - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.

გაგრძელება A3 გვერდზე



ზვიად რუაძის ფოტო

*ლატვიის პრეზიდენტმა და მისმა მეუღლემ დიდი ხალისით ამოავლეს ჩურჩხელები.*

# სალომე ზურაბიშვილმა საყვედურები "ჩამოარიგა"

*საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ საკმაოდ კრიტიკულია. მისი თქმით, კონფლიქტების მოგვარების საკითხში გაერო-ს, ეუთო-ს და ევროკავშირის მხარდაჭერა მხოლოდ სიტყვიერი არ უნდა იყოს და აუცილებელია, ის კონკრეტულ ქმედებებში გადაიზარდოს. მინისტრის აზრით, გააქტიურება ქართულ მხარესაც მოეთხოვება. კერძოდ, ოფიციალურმა თბილისმა მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა შეიმუშაოს კონფლიქტების მოგვარების სტრატეგია, რომლის შემადგენელი ნაწილი რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე პარლამენტის დადგენილება იქნება.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# დარსაძემ ნაკრები "გახსნა"

ყაზახებს ცარიელი ტრიბუნებით დავუხვდებით



*საქართველოს ნაკრების ლიდერები: კალაძე და კობიაშვილი.*

## გულორდავამ მეტოქე მოიშორა

ქუთაისში, მერის ნაცვლად, ვიცე-მერი გამოიცვალა

*ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ გულორდავა თანამდებობას კვლავაც ინარჩუნებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი გათავისუფლების შესახებ ვერდიქტი პრეზიდენტის რწმუნებულმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა და მმართველი პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ერთხმად გამოიტანეს.*

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

საქმე ის გახლავთ, რომ გულორდავას იმპიჩმენტის საკითხის გადაწყვეტა კანონმდებლობით მხოლოდ საკრებულოს შეუძლია. ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე გელა ქათამაძე კი "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ ადგილობრივ სათათბირო ორგანოს ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიცია ჯერ ჩამოყალიბებული არ აქვს. შესაბამისად, მერის იმპიჩმენტის მოთხოვნით საკრებულოს სხდომის გამართვა ჯერჯერობით დაგეგმილი არ არის.

ამასობაში კი, ბესიკ გულორდავა დროს უქმად არ კარგავს და გაცხადებულ ერთადერთ მეტოქეს გზიდან იშორებს. 6 ოქტომბრის განკარგულებით, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა თანამდებობიდან გაათავისუფლა მისი ერთადერთი მოადგილე გიგა ჩოგოვაძე. ჩოგოვაძე ქუთაისის ვიცე-მერად დაახლოებით ორი თვის წინ დაინიშნა, მაშინდელი რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ქაჯაიასა და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის გიორგი არველაძის რეკომენდაციით. კულუარებში მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩოგოვაძე თბილისიდან ქუთაისში სწორედ გულორდავას ჩასანაცვლებლად გამოამწესეს, მაგრამ მოვლენათა განვითარების ეს სცენარი, როგორც ჩანს, ველარ განხორციელდება. ჩოგოვაძის ადგილზე გულორდავამ ახალი კადრი უკვე დანიშნა.

**"მერის მოადგილედ ჩემ მიერ დანიშნული იქნა 23-ე სკოლის დირექტორი გოჩა ჩხეტია, რომელიც არის სუფთა, პატიოსანი და პროფესიონალი კადრი. მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო მისი წვლილი "ვარდების რევოლუციაში", როცა ის მოძრაობა "კმარას" კურატორი იყო და ქუთაისში თითოეული მიტინგის ორგანიზება სწორედ მას უკავშირდებოდა. ბატონი გოჩა ქუთაისის თვითმმართველობაში ვიცე-მერად მუშაობის დასაწყებად რეკომენდებულია ბატონ კახა ლომაიას მიერ, რომელიც მას ახასიათებს, როგორც კომპეტენტურ და ენერგიულ მუშაკს,"** - აცხადებს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი "24 საათთან" საუბარში.

გაგრძელება A3 გვერდზე

## როგორ დავუბრუნოთ ფუნქცია მიწისქვეშა გადასასვლელს

*თბილისის საკრებულოს მიერ ივნისში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ქალაქის მთავრობას ერთ თვეში უნდა შეემუშავებინა მიწისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის მიხედვითაც, მომავალი წლის ბიუჯეტში გადასასვლელების მოსაწესრიგებლად საჭირო თანხას გაითვალისწინებდნენ. ასეთი პროგრამა ჯერ კიდევ არ არსებობს. როგორც ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელობა აცხადებს, მიწისქვეშა გადასასვლელებს მხოლოდ მათი რეაბილიტაციის პროგრამა ვერ აამოქმედებს.*

ნანა ქადაგიშვილი

იმ ავადსახსენებელ წლებთან შედარებით, როცა მიწისქვეშა გადასასვლელი საპირფარეშოსთან ასოცირდებოდა, ბოლო პერიოდში მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. ხელისუფლებამ მიწისქვეშა გადასასვლელების ფუნქცია გაიხსენა და პირვანდელთან მიახლოებული სახე დაუბრუნა. დედაქალაქში არსებული 52 მიწისქვეშა გადასასვლელის დასუფთავება-განათება-გარემონტებისთვის ქალაქის წლევანდელი ბიუჯეტიდან 500 ათასამდე ლარი გამოიყო. ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელობამ 5 თვის განმავლობაში 132 ათასი ლარი აითვისა. ამ თანხით კაპიტალურად შეკეთდა ვაჟა-ფშაველას გამზირისა და ქართველიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, ჭავჭავაძის გამზირზე (მეცხრე საავადმყოფოსთან) და რუსთაველის გამზირზე (მეცნიერებათა აკადემიასთან) მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელები; ჩუღურეთში, ტერენტი გრანელის ქუჩაზე, რკინიგზის ლიანდაგების ქვეშ მდებარე გადასასვლელში მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაციები; მერაბ კოსტავას ქუჩაზე გადასასვლელში დამონტაჟდა არტერიული წყლების ამომქაჩი ჰიდრავლიკური დანადგარი.

გაგრძელება A2 გვერდზე

## წითელ ცირკულარში შეყვანილი ქართველი კრიმინალი მოსკოვში დააპატიმრეს

*წითელ ცირკულარში შეტანილი და ინტერპოლის მიერ წლების მანძილზე ძებნილი, ქართველ სამართალდამცველთა მიერ ე. წ. კრიმინალურ ავტორიტეტად გამოცხადებული მურმან ტვილდიანი, მეტსახელად "ხალვა", ამჯერად რუსეთის საპყრობილეში იმყოფება და კვლავ საქართველოში ექსტრადიციის მოლოდინშია.*

ინგა ალავიძე

2005 წლის მაისში მურმან ტვილდიანი სპეცბადრაგირებით ერთხელ უკვე ჩამოიყვანეს საქართველოში. მაშინ ის ესპანეთს აფარებდა თავს. მას ბრალი ედება თბილისში მომხდარ ერთ-ერთ რეზონანსულ დანაშაულში. საუბარია ბიზნესმენ ირაკლი კორტავას გატაცების საქმეზე. ირაკლი კორტავა 2002 წლის 20 თებერვალს ვაჟა-ფშაველას გამზირზე III კვარტალში მდებარე მისი საცხოვრებელი სახლიდან გაიტაცეს. გამტაცებლებმა კორტავას ოჯახის წევრებს გამოსასყიდად ჯერ - 500 ათასი, ხოლო შემდეგ 50 ათასი დოლარი მოსთხოვეს. კორტავას ახლობლებმა მოთხოვნილი თანხა იმავე დღეს გადაიხადეს და ბიზნესმენიც ტყვეობიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს.

გაგრძელება A5 გვერდზე

## უკრაინის პრეზიდენტის ვაჟი დაკითხვაზე გამოიძახეს

კიევის მილიციამ ჟურნალ "პაპარაცის" გამომცემლის, ლიბანელი ბიზნესმენის, ვალიდ არფუშის ავტომანქანისთვის ცეცხლის წაკიდების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ამ საქმესთან დაკავშირებით დაკითხვაზე უკრაინის პრეზიდენტის ვაჟი ანდრეი იუშჩენკო გამოიძახეს. ამის შესახებ იუწყება უკრაინული ინტერნეტ-საიტი "ობკომი", უკრაინის შსს-ს კიევის სამმართველოს უფროსზე ვიტალი იარემზე დაყრდნობით.

როგორც ჟურნალ "პაპარაცის" გამომცემელი აცხადებს, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მის ჟურნალში დაიბეჭდება სტატია, უმცროსი იუშჩენკოს თურქეთში დასვენების დეტალების შესახებ, სადაც მითითებულია, რომ ანდრეი იუშჩენკო სასტუმროს ნომერში დღე-ღამეში 2500 დოლარს იხდიდა, მას მოკვლით დაემუქრნენ.

ამის შემდეგ კიევის ცენტრში, პრეზიდენტის სამდივნოს მახლობლად უცნობებმა არფუშის 250 ათას დოლარად ღირებული ავტომანქანის ფანჯრები ჩაამსხვრიეს და სალონში თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ჩააგდეს.

ამ ინციდენტის შემდეგ ვალიდ არფუში საფრანგეთში გაფრინდა. გამომცემელი ამტკიცებს, რომ შეეცადნენ, მისთვის ხელი შეეშალათ. უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა იური ლუცენკომ განაცხადა, რომ მან მილიციის თანამშრომლებს დავალება მისცა, გაარკვიონ, ვინ ცდილობდა კიევის აეროპორტიდან გაფრენის დროს არფუშისთვის ხელი შეეშალა.

უკრაინის პრეზიდენტის პრესმდივანმა ირინა გერაშჩენკომ ლიბანელი გამომცემლის ავტომანქანის დაწვის ფაქტსა და პუბლიკაციას შორის კავშირი კატეგორიულად უარყო და აღნიშნა, რომ პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო, როგორც ყოველთვის , ახლაც პრესის თავისუფლების პრინციპის ერთგულია.

*ინტერპრესნიუსი*

## საცირკო წარმოდგენის დროს მოსკოვის მერის 4 წლის შვილიშვილი დაიჭრა

მოსკოვში, საცირკო წარმოდგენისას, მსტისლავ ზაპაშნის ვეფხვების მონაწილეობით, მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის 4 წლის შვილიშვილი დაიჭრა. მას პნევმატური პისტოლეტიდან გასროლილი ტყვია ხელში მოხვდა. რუსეთის მასმედიის ცნობით, ინციდენტი 2 ოქტომბერს, მეორე საერთაშორისო საცირკო ფესტივალის დახურვისას მოხდა.

იური ლუჟკოვი შვილიშვილთან და რძალთან ერთად მეორე რიგში რიგით მაყურებლებს შორის იჯდა. ანტრაქტამდე სულ რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი, როცა მომთვინიერებელმა, რომელიც ცდილობდა, ვეფხვები ეიძულებინა, ბურთზე გადამხტარიყვნენ, პნევმატური პისტოლეტიდან ისროლა. სხვა ვერსიით, გასროლა ბოროტმოქმედმა განახორციელა. ერთი ტყვია ბუნების გამოყენების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მეუღლეს ლუდმილა ბორჩინას ფეხში მოხვდა, მეორე კი ლუჟკოვის შვილიშვილს - ხელში. ლუჟკოვის დაცვამ ბიჭი დედასთან ერთად საავადმყოფოში წაიყვანა. ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ექიმებმა მისი ჰოსპიტალიზაცია საჭიროდ არ ჩათვალეს.

მილიციის თანამშრომლები აცხადებენ: "ნებისმიერ შემთხვევაში, მერისთვის არ უსვრიათ. ეს იყო შემთხვევითობა".

*ინტერპრესნიუსი*

## კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელი ცესკო-ს მუშაობით კმაყოფილია

კონსერვატიული პარტიის ქობულეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ასლან ბაუჟაძე აცხადებს, რომ 1 ოქტომბერს ქობულეთში პარლამენტის შუალედური მაჟორიტარული არჩევნები დემოკრატიულად, კანონდარღვევების გარეშე ჩატარდა. "ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი გურამ ჩალაგაშვილი იყო, რომელიც ოპოზიციური კანდიდატების წარმომადგენლებს დიდ ყურადღებას გვაქცევდა. საარჩევნო უბნებში დარღვევები არ შეინიშნებოდა, თუ არ ჩავთვლით პატარ-პატარა, უმნიშვნელო ფაქტებს," - განაცხადა ასლან ბაუჟაძემ. მიუხედავად ამისა, ბაუჟაძე აცხადებს, რომ არჩევნების დროს მეტად მოუგვარებელი იყო ამომრჩეველთა სიები. რაც შეეხება ადმინისტრაციულ რესურსს, ასლან ბაუჟაძე აცხადებს, რომ დიდი იყო პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის გავლენა მოსახლეობაზე.

*მედიანიუსი*

## ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიები შიშობენ, რომ AIG მათ კლიენტებს წაართმევს

ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიების მსხვილი კლიენტები ქონებას და ბიზნესრისკებს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია AIG-საქართველოში დააზღვევენ.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს სადაზღვევო კომპანია "იმედი L"-ის მარკეტინგის დირექტორმა ალექსანდრე ტუღუშმა განუცხადა. ტუღუში აღნიშნავს, რომ ეს გარდაუვალი პროცესია, რომელიც საქართველოს ბაზარზე უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის AIG-საქართველოს შემოსვლას მოჰყვება. მისი ინფორმაციით, "იმედი L"-ში მიმდინარე წელს მოზიდული დაზღვევის პრემიის მოცულობამ შარშანდელ მაჩვენებელს 25 პროცენტით გადააჭარბა და 9 მილიონი ლარი შეადგინა. AIG-ში წელს შესული დაზღვევის პრემიების რაოდენობა 90 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს. როგორც პრაიმ-ნიუსს კომპანიის გენერალურმა მენეჯერმა ნიკა ქიტიაშვილმა განუცხადა, კომპანია თავდაპირველად დაკავდება გადაზღვევის ოპერაციებით. მისი ძირითადი პროექტი რისკებისა და ქონების დაზღვევა იქნება. მისივე თქმით, კომპანია ამ ეტაპზე არ არის ორიენტირებული სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევაზე. ამ პროდუქტიდან პრემიების მოცულობა ადგილობრივი კომპანიების შემოსულობების ძირითადი ნაწილია.

კომპანია მომავალში ქართველ მომხმარებელს საპენსიო, სიცოცხლის, უბედური შემთხვევის, პროფესიული და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პროდუქტებს შესთავაზებს. AIG-ს აზერბაიჯანის სადაზღვევო ბაზრის 15 პროცენტი უკავია და მისი ძირითადი მომხმარებელი მსხვილი კორპორაციული კომპანიები არიან. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ფუნქციონირებს 17 სადაზღვევო კომპანია, რომლებიც მომხმარებელს 16 სახეობის დაზღვევის პროდუქტით ემსახურებიან. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ცნობით, 2004 წელს 16 კომპანიის მიერ მოზიდულმა პრემიების მოცულობამ 45 106 267 ლარი, ხოლო ანაზღაურებული ზარალის ოდენობამ 12 630 887 ლარი შეადგინა.

*პრაიმ-ნიუსი*

## ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურსს წამყვანის თანამდებობაზე

**მოთხოვნები**

- ასაკი - 25-დან 40 წლამდე;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უცხო ენის ცოდნა (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

მსურველებმა ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ 3 ფოტო (9X13) პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში. ანკეტების მიღება იწარმოებს 21 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68

# სალომე ზურაბიშვილმა საყვედურები "ჩამოარიგა"

გიორგი ასანიშვილი

**"ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. შეიძლება, კონფლიქტები იყოს გაყინული, მაგრამ არ შეიძლება კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო ინიციატივების გაყინვა,"** - განაცხადა ქვეყნის დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელმა გუშინ, პარლამენტში გამართული საკომიტეტო მოსმენის დროს. სალომე ზურაბიშვილის თქმით, ქართულმა მხარემ რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოაყალიბოს კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიული ხედვა და ის პარტნიორებთან, მათ შორის, რუსეთთან შეათანხმოს.

**"2006 წელი კონფლიქტების მოგვარების საქმეში გადამწყვეტი იქნება,"** - მთლიანობაში, ოპტიმისტურად არის განწყობილი საგარეო საქმეთა მინისტრი.

სალომე ზურაბიშვილის საყვედურის უპირველესი ადრესატი გაერო-ს გენერალური მდივნის "მეგობართა ჯგუფია". მინისტრი პირდაპირ აცხადებს, რომ ვერ ხედავს ამ ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის შედეგებს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მისი ფორმატის შეცვლას. ზურაბიშვილის აზრით, ასეთი ნაბიჯის გადადგმა თავად გაერო-ს ინტერესებში უნდა შედიოდეს, რადგან კონფლიქტების მოგვარება-ვერმოგვარება მის ავტორიტეტზე აისახება.

**"ჩვენ ვართ ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც გაერო-ს რეფორმირების პროცესის ერთგვარი ტესტი იქნება,"** - საქართველოს ახალ "როლზე" საუბრობს ზურაბიშვილი.

საგარეო უწყების ხელმძღვანელი ეუთო-ს არაეფექტურობაზეც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ ის, ერთი მხრივ, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა, მეორე მხრივ კი, მრავალი ნაკლოვანებით ხასიათდება. ეუთო-ს მიერ გადადგმულ ნეგატიურ ნაბიჯად სალომე ზურაბიშვილი ეუთო-ს მისიის მიერ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის მონიტორინგის შეწყვეტას ასახელებს.



სალომე ზურაბიშვილმა მკაცრად გააკრიტიკა ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტების მოგვარებაში არის ჩართული.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისგან გუშინ ევროკავშირსაც "მოხვდა". ზურაბიშვილს, კერძოდ, არ დაუმალავს, რომ პრობლემებია კონფლიქტების მოგვარების პროცესში ევროკავშირის ჩართვაში, რასაც, თავის მხრივ, ის უშლის ხელს, რომ სამოქმედო გეგმის დამტკიცება ჭიანურდება.

**"ის დოკუმენტი, რომლის შემოთავაზებასაც ევროკავშირი აპირებს, ვერ ასახავს საქართველოს პრიორიტეტებს. ამიტომ, არასწორი იქნება, მათ შემოთავაზებას ბრმად დავთანხმდეთ და შედეგად, შემდგომი სამიოთხი წლის განმავლობაში არაპრიორიტეტული გეგმის მიხედვით ვიმოქმედოთ. ამას გვირჩევნია, კიდევ რამდენიმე თვე მოვიცადოთ და უკეთესი სამოქმედო გეგმა შევიმუშაოთ,"** - აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს მინისტრი, ცხადია, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ **"ამ საკითხში არსებობს რაღაც პოზიტივი და ძალიან ბევრი სიძნელეები".** "პოზიტივში" ზურაბიშვილი საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე მიღწეულ შეთანხმებას გულისხმობს, "სიძნელეები" კი, ძირითადად, კონფლიქტის ზონებში ოფიციალური მოსკოვის როლს უკავშირდება.

რაც შეეხება კონფლიქტის ზონებიდან რუსი სამშვიდობოების შესაძლო გაყვანას, ამ თემაზე მინისტრი საკმაოდ ლაკონურად საუბრობს.

**"დღეს არსებული მდგომარეობა მიუღებელია, ამასთან, სამშვიდობოების გაყვანა საკმაოდ ექსტრემალური ვარიანტია,"** - აცხადებს ზურაბიშვილი. მისივე თქმით, სასურველი სქემები და ვარიანტები ბევრია (ევროკავშირის სწრაფი რეაგირების კორპუსის ჩანაცვლებით დაწყებული და ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების სამშვიდობო კონტინგენტის გამოყენებით დამთავრებული) და მათგან ოპტიმალურის შერჩევაა საჭირო.

დეპუტატებთან შეხვედრის დროს, საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთი საკმაოდ დამაინტრიგებელი განცხადებაც გააკეთა.

**"ერთი-ორი ელჩის მუშაობით უკმაყოფილო ვარ და მათთან პრობლემები მაქვს, მაგრამ მათი გამოწვევის უფლება არ გამაჩნია,"** - დაიჩივლა სალომე ზურაბიშვილმა, თუმცა, დეპუტატების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, "უვარგისი" ელჩების ვინაობა არ დაასახელა.

**"მირჩევნია, რაღაცეები მოვითმინო, ვიდრე სკანდალი ატყდეს და ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი შეილახოს,"** - ზოგიერთ სულსწრაფ და ცნობისმოყვარე დეპუტატზე უფრო შორს იყურება საგარეო საქმეთა მინისტრი.

# ანტისომხური პროვოკაციების მიზეზებს მასობრივ მიგრაციაში ეძებენ

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

აფხაზეთის ხელისუფლებას გაგრაში ანტისომხურ აქციაზე რეაგირება დააგვიანდა.

აფხაზეთის პარლამენტმა და უშიშროების საბჭომ დაგმეს "ანტისომხური აქცია", რომელიც უცნობმა პირებმა გაგრაში ჯერ კიდევ აგვისტოს შუა რიცხვებში განახორციელეს. ქალაქში ანტისომხური შინაარსის პროკლამაციები გავრცელდა. დაბალი ხარისხის ქაღალდზე დაბეჭდილ, მრავალი გრამატიკული შეცდომის შემცველ ტექსტში ავტორები გაგრელი სომხების მისამართით შეურაცხმყოფელ გამოთქმებს არ იშურებდნენ. ამასთან, მათ რაიმე კონკრეტული მოთხოვნები არ წაუყენებიათ და, არსებითად, გაგრის სომხური მოსახლეობა არაფერში დაუდანაშაულებიათ. ადგილობრივი ხელისუფლება სკანდალის გავრცელების არეალის მხოლოდ რეგიონის მასშტაბით შეზღუდვას შეეცადა. თუმცა, აქციის შესახებ ინფორმაცია სოხუმის პრესაშიც მოხვდა და პროკლამაციების ნიმუშებიც გამოქვეყნდა. შედეგად, პარლამენტმა ამ საკითხზე სპეციალური მოსმენა გამართა, პრეზიდენტმა ბაგაფშმა კი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.

პარლამენტის წევრმა ალბერტ ოვსეპიანმა განაცხადა, რომ "ამგვარი პროვოკაციებით" აფხაზეთში მცხოვრები სომხების სხვა ეროვნებებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების დარღვევა შეუძლებელია. მან სომხებს მოუწოდა, ამგვარ აქციებზე რეაგირება არ მოახდინონ.

იმავდროულად, სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები გაგრაში ამგვარი პროკლამაციების გამოჩენის მიზეზების დადგენას ცდილობენ. მათი აზრით, ამის შესაძლო მიზეზი გავრცელებული ხმებია, რეგიონში ხუთი ათასამდე ყარაბაღელი სომხის მასობრივი ჩამოსახლების შესახებ. სომეხი აქტივისტების თქმით, ეს ხმები სინამდვილეს არ შეესაბამება. თანაც, მათი თქმით, "მიგრანტები ციდან არ ჩამოფრენილან და არც ტანკებით შემოსულან. მათ საზღვარი კანონიერად გადმოკვეთეს, და საბუთებიც კანონიერი წესით მიიღეს." აფხაზეთის სომხური სათვისტომოს ლიდერთა აზრით, მთელი პრობლემა მიგრაციული კანონმდებლობისა და გამოკვეთილი საიმიგრაციო პოლიტიკის არარსებობაშია. "აფხაზეთში ჩამოსვლა ყველას შეუძლია, ყველაფერი კი ჩვენ გვბრალდება," – ამბობენ გაგრელი სომხები.

# როგორ დავუბრუნოთ ფუნქცია მიწისქვეშა გადასასვლელს

პირველი გვერდიდან

კეთილმოწყობის სამსახურის ახალმა ხელძღვანელობამ კი 11 მიწისქვეშა გადასასვლელი შეარემონტა. **"კედლები შევათეთრეთ, ჭები გადავხურეთ, რომელ გადასასვლელთანაც დენის წყარო ახლოს იყო, განათება გავაკეთეთ. კვირაში ორჯერ ყველა გადასასვლელს ვასუფთავებთ,"** – აცხადებს კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი.

ამ ყველაფრის შედეგად, მიწისქვეშა გადასასვლელებს მომხმარებელი მოემატა. თუმცა, ფეხით მოსიარულეთა დიდი უმრავლესობა მაინც ქუჩაზე გადასვლას არჩევს და ამის მიზეზი მხოლოდ "ქართული უწესრიგობა" როდი გახლავთ. ხშირად, გადასასვლელში ჩასული ადამიანი ვერც კი დაიჯერებს, რომ იქაურობას კვირაში ორჯერ ასუფთავებენ. **"გასაკვირი არც არის, რადგან დასუფთავებულ გადასასვლელს მოქალაქეები ერთ საათში ისე ანაგვიანებენ, მუშაობის სურვილი გვეკარგება. ამას ვინ ჩივის, ჭების თავსახურებსა და დენის სადენებს იპარავენ, გაკეთებიდან ორ-სამ დღეში ყველაფერი მოპარული გვხვდება,"** – ჩივის სუბელიანი.

თბილისის კორპუსების ეზოსადარბაზოების მაგალითზე, კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის ნათქვამის დაჯერება არ გაჭირდება. თუმცა, მოწესრიგებულ მოქალაქეებს მიწისქვეშ ჩასვლაზე უარს კიდევ ერთი მიზეზი ათქმევინებს. დაუცველი მიწისქვეშეთი ხშირად კრიმინალების ბუდეა და მათგან ვერც გადახურული ჭა დაგიცავს, ვერც ანთებული ნათურა და ვერ შენსავით შეშინებული ფეხით მოსიარულე. მაგალითად, გმირთა მოედანზე ზემოდან გადასვლა რაც არ უნდა გაუჭირდეს კაცს (მით უმეტეს, ქალს), მიწისქვეშა გადასასვლელით სარგებლობას მაინც ძნელად გარისკავს. მართალია, კეთილმოწყობის სამსახურმა განათება გააკეთა, მაგრამ გადასასვლელი ერთ დღეში ისევ ჩაბნელდა. სამსახურის ინფორმაციით, ამ გადასასვლელს პროსტიტუციისთვის უფრო წარმატებით იყენებენ, ვიდრე პირვანდელი ფუნქციით. სხვათა შორის, გასულ წელს ქალაქის მთავრობა აღნიშნული გადასასვლელის ტერიტორიის ბიზნესმენებისთვის იჯარით გადაცემას აპირებდა, მაგრამ ამაზე საუბარი მალევე შეწყდა.

ასე რომ, მიწისქვეშა გადასასვლელების სათანადოდ დასატვირთად მხოლოდ მათი დაგვა-დასუფთავება და კედლების შეთეთრება არ კმარა. ხელისუფლებამ გადასასვლელებისა და მათი მომხმარებლების დაცვაზეც უნდა იზრუნოს. **"სასურველ შედეგს მაშინ მივიღებთ, როცა ფეხით მოსიარულეს მიწისქვეშა გადასასვლელით სარგებლობის აღარ შეეშინდება, ქურდებისა და დამნაგვიანებლების წინააღმდეგ კი საჯარიმო სანქციები ამოქმედდება,"** – აცხადებს სუბელიანი.

### *მოკლედ*

#### სერგეი ბაგაფშმა აბაზინელებს, შესაძლოა, აფხაზეთში დასახლება შესთავაზოს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში ოფიციალური ვიზიტით ყარაჩაი-ჩერქეზეთში გაემგზავრა.

"პრეზიდენტ" ბაგაფშის ადმინისტრაციაში მიღებული ინფორმაციით, აფხაზეთის დელეგაცია ოთხდღიანი ვიზიტის ფარგლებში, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გარდა, ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში აფხაზთა მონათესავე აბაზინელების წარმომადგენლებთან შეხვედრებს გამართავს.

1992-1993 წლებში აფხაზეთში საომარ მოქმედებებში ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის შემადგენლობაში მონაწილეობა ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკიდან 1000-ზე მეტმა მოხალისემ მიიღო.

"აფხაზეთის გმირის" წოდების მფლობელ 300 ჯარისკაცს შორის 40 ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკიდან არის. სოხუმის სახელისუფლებო წრეებში ვარაუდობენ, რომ ყარაჩაი-ჩერქეზეთში ვიზიტით მყოფი, სოხუმის ხელისუფლება, რესპუბლიკაში ვითარების განსამუხტად, მოსკოვის დავალებით, აბაზინელებს აფხაზეთში დასახლებას შესთავაზებს. **ინტერპრესნიუსი**

#### სოჭში ქართულ-რუსულ-აფხაზური სამთავრობო კომისიების სამუშაო შეხვედრა დაიწყო

სოჭში, 2003 წლის სოჭის შეთანხმების მოლაპარაკებათა ფორმატის ფარგლებში მოქმედი, დევნილთა დაბრუნების საკითხებზე მომუშავე ქართულ-რუსულ-აფხაზური სამთავრობო კომისიების ორდღიანი სამუშაო შეხვედრა დაიწყო.

შეხვედრაზე მხარეები გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ეგიდით გალის რაიონში დაბრუნებულ ქართველ დევნილთა აღწერასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და აღწერის ჩატარების ვადებზე იმსჯელებენ. გალის რაიონში დაბრუნებულ დევნილთა აღრიცხვას აფხაზური მხარე ქართულისგან კარგა ხანია მოითხოვს და ამტკიცებს, რომ კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების ხელშეწყობითა და აფხაზური მხარის მიერ 1999 წელს დევნილთა ცალმხრივად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გალის რაიონში 60 ათასი ქართველი დევნილი დაბრუნდა.

სოჭის შეხვედრაში ქართულ დელეგაციას უხელმძღვანელებს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა, აფხაზურს - სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, რუსულს - რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი მიხეილ ბაჩარნიკოვი.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში მიღებული ინფორმაციით, გიორგი ხაინდრავას გარდა, სოჭის შეხვედრაზე ქართული მხრიდან მონაწილეობენ სახელმწიფო მინისტრის აპარატის მთავარი სპეციალისტი ლევან გერაძე და სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი გიორგი კაკუბერი, ხოლო აფხაზური მხრიდან - თვითგამოცხადებული აფხაზეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ბესლან ბუთბა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ასლან ცვინარია და დაურ კოვე. **ინტერპრესნიუსი**

### *ორი სიტყვით*

**თბილისი.** საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში მირჩა დან ჯოანას შეხვდა.

როგორც აღნიშნული შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, შეხვედრაზე საუბარი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებას, ასევე საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესს შეეხო.

ბეჟუაშვილის თქმით, ქართულმა მხარემ კატეგორიულად მოითხოვა, რომ ეუთომ უფრო მკაცრი კონტროლი დააწესოს ცხინვალის რეგიონის დემილიტარიზაციაზე და იქ შექმნილი კრიმინალური ვითარების გაჯანსაღებაზე.

როგორც მირჩა დონ ჯოანა აცხადებს, ეუთო მხარს უჭერს საქართველოს სამშვიდობო გეგმას, რომლის დეკლარირებაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში მოახდინა და იმედი აქვს, რომ აღნიშნული გეგმის რეალიზება შესაძლებელია.

როგორც მირჩა დან ჯოანა აცხადებს, ეუთოში იმედოვნებენ, რომ უკვე 2006 წლისათვის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება და გარკვეული პროგრესი იქნება ასევე კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით გამართულ მოლაპარაკებებში. ამავდროულად, ეუთო კიდევ ერთხელ ითხოვს 20 სექტემბერს ცხინვალის დაბომბვის ფაქტის გამოძიებას. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქული გემები აფხაზეთში ქართულ მხარესთან შეთანხმების გარეშე აღარ ივლიან. ამ შეთანხმებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ანკარაში ვიზიტის დროს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ აბდულაჰ გიულთან შეხვედრისას მიაღწია. როგორც ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, საგარეო საქმეთა მინისტრი დაეთანხმა მის მოთხოვნას, რომ თურქულმა გემებმა აფხაზეთში მხოლოდ ქართულ მხარესთან შეთანხმებით იარონ. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# სტუმარს - ჩურჩხელა, გლეხებს - დაპირებები

პირველი გვერდიდან

ამ ყველაფერს კი მიხეილ სააკაშვილი "აგრესიულ" საგარეო პოლიტიკას მიაწერს. მისი თქმით, ამ დროისთვის საქართველომ უკვე შეძლო გაემყარებინა ქართული ღვინის ბაზარი უკრაინაში და ყაზახეთში, გაუმჯობესება შეიმჩნევა რუსეთის ბაზარზე. ამ დროისთვის კი ინტენსიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები თურქეთის რესპუბლიკის ბაზრების დასაპყრობად. **"ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ორჯერ მეტ ყურძენს ჩავიბარებთ, ვიდრე საქართველოს დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის დროს,"** - აღნიშნავს პრეზიდენტი. სწორედ ამის გამო იგი კახელებს, ვენახის გაჩეხვის ნაცვლად, გაშენებისკენ მოუწოდებს და მათ ასეთ დახმარებას ჰპირდება: **"მე მინდა ვუთხრა კახელებს, გავაშენოთ ისეთი ყურძნის ჯიშები, რომლის მიერ ნაწარმოებ ღვინოს მსოფლიო ბაზარზე ექნება გასავალი. მე თქვენ დაგეხმარებით იმაში, რომ ერთად ვამუშაოთ ტექნოლოგიები და ბოლო მოეღოს სალებავებით და წვენებით დამზადებულ ღვინოებს."**


ვენახების ფონზე, პრეზიდენტმა ვაზის ჩაყრისკენ მოუწოდა კახელებს.

დაიპყრობს თუ არა საქართველო ლატვიის ღვინის ბაზარს, ამის პროგნოზირება ჯერ ძნელია, რადგან ვაირა ვიკე-ფრაიბერგამ პირველად ნახა, თუ როგორ იწურება მამაპაპურ საწნახელში ნამდვილი, ქართული ღვინო. ყველაზე მეტად კი ლატვიის პრეზიდენტი ჩურჩხელების გავლების პროცესმა მოხიბლა. მართალია, მას თათარა არ დაუგემოვნებია, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წასძლია და, მიხეილ სააკაშვილის დახმარებით, ჩურჩხელაც ამოავლო. ფრაიბერგას მეუღლემაც მიბაძა და ზედიზედ რამდენიმე ჩურჩხელა სიამოვნებით ამოავლო.

შემდეგ პრეზიდენტმა სანიორეში გამოფენილ ქართული რეწვის ნამუშევრებს შეავლო თვალი და ვახშმამდე ქართული ხალხური სიმღერებიც მოისმინა. თუმცა, ფრაიბერგას წინ კიდევ დიდი სიურპრიზი ელოდა. პრეზიდენტების სუფრაზე მიწვეულმა ანსამბლმა "წინანდალმა" არც ამჯერად დაარღვია ტრადიცია და სუფრაზე მდგარ ნივთებზე დაკვრით ლატვიის პრეზიდენტს "სულიკო" შეუსრულა.

ერთადერთი, რაც ფრაიბერგამ კახეთში სტუმრობის დროს ვერ მოასწრო, კახური ყურძნის მოკრეფა იყო, რომელსაც ბიზნესმენი საქუაშვილი და რეგიონის ხელმძღვანელობა სწორედ ამ დღისთვის, საგულდაგულოდ ინახავდა.

# გულორდავამ მეტოქე მოიშორა

პირველი გვერდიდან

23-ე სკოლის დირექტორობამდე გოჩა ჩხეტია "თავისუფლების ინსტიტუტის" ქუთაისის ოფისს ხელმძღვანელობდა. გულორდავას მერად დანიშვნის შემდეგ კი, მას ქუთაისში მერის უშტატო მრჩევლად იცნობდნენ, რადგან, გავრცელებული ინფორმაციით, გულორდავა ჩხეტიასთან შეუთანხმებლად, ფაქტობრივად, ნაბიჯსაც არ დგამდა. ჩხეტიამ ვიცე-მერობის შეთავაზება გულორდავასგან ჯერ კიდევ შვიდი თვის წინ მიიღო, როცა ის ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა, მაგრამ მისგან უარი მიიღო.

**"თავის დროზე არ დავთანხმდი, რადგან მიმაჩნდა, რომ სამოქალაქო სექტორში ჩემი არსებობა ბესოს პოზიციებს უფრო გააძლიერებდა, იმიტომ, რომ მაშინ მას ქუთაისში მხარდამჭერები არ ჰყავდა. ახლა ჩემი თანხმობა გამოწვეულია იმ ბინძური კამპანიით, რომელიც წამოწყებული იქნა ბესო გულორდავას წინააღმდეგ ძალიან ცუდი ადამიანების მიერ. ვგულისხმობ გოჩა თევდორაძეს, რომელმაც ქალბატონი ნინო ბურჯანაძეც და ბატონი კაკო ბობოხიძეც შეცდომაში შეიყვანა,"** - აცხადებს გოჩა ჩხეტია "24 საათთან" საუბარში.

ჩოგოვაძის თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზად გულორდავა სწორედ ნინო ბურჯანაძისა და აკაკი ბობოხიძის სატელევიზიო განცხადებებს ასახელებს იმის თაობაზე, რომ ქუთაისი, უუნარო ხელისუფლების გამო, ქვეყნის მასშტაბით წამოწყებულ ალმშენებლობით პროცესს ჩამორჩა.

**"ბატონი გიგა ჩოგოვაძე გახლდათ ყველა სამსახურის კურატორი და კოორდინატორი, ამასთან - პასუხისმგებელი, რომ მოეხდინა ზემდგომი ორგანოებისა და ხელმძღვანელი პირების ინფორმირება ქუთაისში ჩატარებული სამუშაოების შესახებ. მე გაოცებული დავრჩი პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, რომ ქუთაისში საქმე არ არის გაკეთებული, მაშინ, როცა ის ხშირად თავად ამოწმებდა ამ საქმეებს და ძალიან კმაყოფილი ჩანდა. ასევე, როცა ბატონი კაკო დაინიშნა რწმუნებულად, მე პირადად წარვუძეხი იმ კეთილმოწყობის სამუშაოების სანახავად, რაც ქუთაისში ხორციელდებოდა და იმ დღეს ისიც ძალიან კმაყოფილი იყო. მე არ ვიცი, რა ჭორები უამბო მათ გოჩა თევდორაძემ,"** - აცხადებს ბესიკ გულორდავა.

გულორდავას მიერ განხორციელებულ საკადრო ცვლილებას ჯერჯერობით უკომენტაროდ ტოვებენ როგორც რწმუნებული, მაჟორიტარი დეპუტატი და პარლამენტარი გოჩა თევდორაძე, ისე თანამდებობიდან გათავისუფლებული გიგა ჩოგოვაძე. გულორდავა ამბობს, რომ ვიცე-მერის პოსტზე გოჩა ჩხეტიას კანდიდატურის თაობაზე აკაკი ბობოხიძესთან საუბარი ჯერ კიდევ სამი კვირის წინ ჰქონდა. **"ამ კანდიდატურის მიმართ მას არც დადებითი და არც უარყოფითი პოზიცია არ გამოუხატავს,"** - აცხადებს გულორდავა.

გოჩა ჩხეტია ამბობს, რომ ურთიერთობის დარეგულირებას შეეცდება როგორც რწმუნებულთან, ისე - მაჟორიტარ დეპუტატთან. თავისი საქმიანობის ძირითად ამოცანად კი, პირველ რიგში, მერიის სტრუქტურულ რეორგანიზაციას მიიჩნევს. თუმცა, ყოველივე ამის განსახორციელებლად ჩხეტიას საკრებულოს თანხმობა სჭირდება, რომ ვიცე-მერის თანამდებობაზე მუშაობას შეუდგეს. საკრებულოს პოზიცია კი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

# მასწავლებელთა პროფკავშირებმა პედაგოგის დღე აღნიშნეს



გუშინ პროფკავშირების კულტურის სასახლეში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების პროფესიულმა კავშირმა და საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალმა პროფკავშირმა "სოლიდარობამ" პედაგოგთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ფორუმი მოაწყო. ფორუმზე მოწვეულები იყვნენ თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგები. ფორუმზე იმსჯელეს განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე: შრომითი ანაზღაურების საარსებო მინიმუმამდე გათანაბრება, სოციალური დაცვის გარანტიები, ვაუჩერის მოცულობის გაზრდა, სასწავლო დაწესებულებების ახალი ინვენტარით აღჭურვა და კეთილმოწყობა.

ფორუმს დაესწრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია. მინისტრმა მასწავლებლებს მადლობა გადაუხადა პროფესიული უანგარობისა და თავდაუზოგავი შრომისთვის. მან პედაგოგებს მოუწოდა, რომ უწყვეტად აიმაღლონ პროფესიონალიზმი: **"მასწავლებლობა ზარმაცი ადამიანის პროფესია არ არის, ვინც არ დაიზარებს განვითარებისთვის შრომას, ის მატერიალურადაც წინ წავა."** ვითანამშრომლოთ განათლების მაღალი ხარისხის მისაღწევად, რომ ჩვენი შვილები მსოფლიო სტანდარტით კონკურენტუნარიანები იყვნენ, - უთხრა მინისტრმა მასწავლებლებს. მანვე აღნიშნა მასწავლებელთა პროფკავშირების მაღალი ხარისხი: **"თქვენ ეფექტური პროფკავშირები გყავთ."**

**"დადგა დრო, როცა მასწავლებლის ტიტანური შრომა ჯეროვნად უნდა იქნას დაფასებული. ჩვენი სოციალური და სამართლებრივი პრობლემები საბოლოოდ უნდა მოგვარდეს, აღარ ვაპირებთ, შევეგუოთ პედაგოგთა პროფესიული და შრომითი უფლებების იგნორირებას,"** - ნათქვამია ფორუმის მონაწილეთა მიმართვაში პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და პრემიერ-მინისტრთან.

*24 საათი*

ეს არ არის წამახალისებელი აქცია
ეს KLM-ის ახალი რეგულარული ფასებია:

ეკონომიური კლასი
ევროპა $ 379*-დან
ჩრ. ამერიკა $ 599*-დან

ბიზნეს კლასი
ევროპა $ 1199*-დან
ჩრ. ამერიკა $ 2599*-დან

WWW.KLM.GE

KLM-ის საუკეთესო ფასების მისაღებად
ყოველთვის შეამოწმეთ www.klm.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით თქვენს
სამოგზაურო სააგენტოს ან
აეროკომპანია KLM-ის სათაო ოფისს:
(995 32) 920079, 920023
ელ-ფოსტა: reservations@klm.com.ge

AIR FRANCE KLM

*ფასები არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებელს

# აშშ-მ პატიმართა წამების წინააღმდეგ კანონი მიიღო


"აბუ-გრეიბ"-ის ციხეში ამერიკელ სამხედროთა მიერ წამებულ პატიმართა ფოტოები მთელმა მსოფლიომ იხილა.

*ამერიკელ სამხედროთა მიერ პატიმართა წამების ამსახველი ფოტოები მთელმა მსოფლიომ იხილა. სენატორები საკუთარი ქვეყნის შელახული რეპუტაციის აღდგენის იმედით პატიმართა წამების წინააღმდეგ კანონს იღებენ. თუმცა, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაუელის მიერ მოწონებულ კანონს თეთრი სახლი აღფრთოვანებით არ შეხვედრია. ჯორჯ ბუშმა, შესაძლოა, ვეტოს უფლებით ისარგებლოს.*

ნანა ნასყიდაშვილი

აშშ-ს სენატმა პატიმრებთან მკაცრი და არაადამიანური მოქცევის წინააღმდეგ კანონპროექტი მიიღო. აღნიშნულ კანონს მხარი 90 სენატორმა დაუჭირა, წინააღმდეგი მხოლოდ 9 ადამიანი იყო. აღნიშნული კანონმდებლობის მიღების იდეა ამერიკელ სამხედროთა მიერ ერაყში მდებარე "აბუ გრეიბ"-ის ციხეში მყოფ პატიმართა წამების ფაქტთა გახმაურების შემდეგ გაჩნდა. ფოტოები, რომლებზეც "აბუ გრეიბ"-ში ადამიანთა წამების შემთხვევები იყო აღბეჭდილი, მთელმა მსოფლიომ იხილა, რასაც შედეგად მთელ რიგ ქვეყნებში ანტიამერიკული გამოსვლები მოჰყვა. ადამიანის უფლებათა დამცველები შემაშფოთებელ ცნობებს კუბაზე, კერძოდ გუანტანამოს ბაზაზე მყოფი ხალხის მდგომარეობის შესახებაც ავრცელებდნენ. სენატორები იმედოვნებენ, რომ მათ მიერ ხმათა უმრავლესობით მიღებული კანონი აშშ-ს შელახული რეპუტაციის აღდგენაში შეუწყობს ხელს. კანონპროექტის ავტორის, რესპუბლიკელი სენატორის ჯონ მაკკეინის თქმით, ახლად მიღებული კანონი აშშ-ს საზღვრებს გარეთ არსებულ ამერიკულ სამხედრო ობიექტებზე მყოფ პატიმართა მდგომარეობას მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს. **"აღნიშნული კანონის მიღებით, ჩვენ დავანახებთ მსოფლიოს, რომ აშშ არ დაუშვებს პატიმართა წამებას,"** - აღნიშნა მაკკეინმა. პენტაგონი ყოველთვის ირწმუნებოდა, რომ "აბუ გრეიბ"-ის ციხეში აღმოჩენილ დარღვევებში წვლილი არა მთლიანობაში აშშ-ს შეიარაღებულ ძალებს, არამედ ცალკეულ სამხედრო პირებს მიუძღვით (მათი უმრავლესობა უკვე გაასამართლეს და შესაბამისი სასჯელიც მიუსაჯეს). სენატორი მაკკეინი პენტაგონის ამ შეხედულებას იზიარებს. **"აშშ-ს დაქვემდებარებაში მყოფ პენიტენციარულ დაწესებულებებში მომუშავე კონკრეტულ ადამიანთა არაკანონიერი ქმედებები, აშშ-ს მსოფლიო მასშტაბით ულახავს რეპუტაციას,"** - აღნიშნა სენატორმა.

თეთრმა სახლმა სენატორთა ინიციატივა უარყოფითად შეაფასა. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ ახალმა კანონმა, შესაძლოა, აღმასრულებელ ხელისუფლებას ტერორიზმთან ბრძოლაშიც კი შეუშალოს ხელი. საყურადღებოა ისიც, რომ სენატორი მაკკეინი კანონპროექტის პენტაგონის ბიუჯეტის შესახებ კანონში შესწორების სახით შეტანის წინადადებით გამოვიდა. ეს კი ქვეყნის ლიდერს საშუალებას აძლევს, სენატორთა მიერ მიღებული კანონის გაუქმების მიზნით, კანონს პენტაგონის ბიუჯეტის შესახებ, რომელიც 440 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, ვეტო დაადოს.

## ორი სიტყვით

**გერმანია.** გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა და "ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის" ლიდერმა ანგელა მერკელმა პოლიტიკური კრიზისის დაძლევის მიზნით გუშინ მოლაპარაკებათა ახალი რაუნდი გამართეს.

ახლახანს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ხმების ერთი პროცენტის უპირატესობით გამარჯვებული "ქრისტიან-დემოკრატები" და შრიოდერის "სოციალ-დემოკრატები" აცხადებენ, რომ მზად არიან, შექმნან სამთავრობო კოალიცია. თუმცა, მხარეები ახალი კანცლერის კანდიდატურის თაობაზე ვერ თანხმდებიან.

18 სექტემბრის არჩევნებში ვერც "სოციალ-დემოკრატების" პარტიამ და ვერც ოპოზიციური "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" და "ქრისტიანი-სოციალური კავშირის" ბლოკმა ვერ შეძლო მინისტრთა ახალი კაბინეტის ფორმირებისთვის საჭირო ხმების რაოდენობის შეგროვება. **იტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**აშშ.** აშშ-ს სპეცსამსახურებმა თეთრ სახლში მომუშავე ჯაშუში აღმოაჩინეს. ამის შესახებ ტელეარხი "ეი-ბი-სი" გამოძიების ფედერალური ბიუროს და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წყაროებზე დაყრდნობით იუწყება.

ჯაშუში ამერიკის მოქალაქეობის მქონე ფილიპინელი, 46 წლის ლეანდრო არაგონსილო აღმოჩნდა. ის სამი წლის განმავლობაში თეთრ სახლში წარმატებით მუშაობდა.

სპეცსამსახურის მონაცემებით, არაგონსილოს ხელი მიუწვდებოდა საიდუმლო დოკუმენტებზე და ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის ოფისში კომპიუტერებიდან საიდუმლო ინფორმაციას იპარავდა. არაგონსილო სექტემბერში დააპატიმრეს და ელექტრონული ფოსტით 100-ზე მეტი საიდუმლო დოკუმენტის გაგზავნაში დასდეს ბრალი.

"ეი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, არაგონსილოს მიერ მოპარულ დოკუმენტებს შორის ფილიპინების პრეზიდენტ გლორია აროიოს მაკომპრომეტირებელი დოსიეც აღმოჩნდა.

ჯაშუშმა ის იმ ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს გადასცა, რომლებიც ფილიპინებზე სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ. **ინტერპრესნიუსი**

# „ხელისუფლებას არ უნდა ვაცადოთ"

**გუშინ რადიო "უცნობისა" და რადიო "თავისუფლების" ერთობლივი პროექტის, "უცნობი თავისუფლების" სტუმარი ჟურნალისტი ზვიად ქორიძე იყო**

**ალექსანდრე ელისაშვილი** – დღევანდელ გადაცემაში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ტენდენციებზე ვისაუბრებთ. ზვიად, ყველაზე აქტუალური საკითხი დღეს არის ის, რომ დასავლეთ საქართველო, ფაქტობრივად, წყალმა წაიღო. ხელისუფლებას ამაში ბრალი არ მიუძღვის, თუმცა ფაქტია, რომ დანგრეულია რამდენიმე სოფელი და რიგი ზონებიდან ადრევე უნდა გამოესახლებინათ ხალხი, ეკომიგრანტებისთვის შეექმნათ ყველა პირობა, რომ თავიდან აგვეცილებინა ის, რაც, მაგალითად, მოხდა ოზურგეთში, როდესაც მეწყერმა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

**ზვიად ქორიძე** – ეკომიგრანტი, ეს არის ყველაზე ბოლო, რისი გაკეთებაც ხელისუფლებას ადამიანების გადასარჩენად შეუძლია. მანამდე კი ბევრი სამუშაო იყო. რაღაც უნდა გაკეთებულიყო თუნდაც ფოთში, როდესაც მთელი ქალაქი დაიტბორა. ხელისუფლებამ ყველაზე კარგად იცის, აღნიშნული ზონა როგორია და როგორ სჭირდება მას მოვლა.

ეს არ არის პრობლემები, რომელიც ადამიანმა დღეს გაიგო. საჭიროა წინასწარი მომზადება.

**ალექსანდრე ელისაშვილი** – იმის გამო, რაც დღეს დასავლეთ საქართველოში ხდება, თქვენ, როგორც მოქალაქე, ეტყოდით თუ არა საყვედურს საქართველოს ხელისუფლებას და რას ურჩევდით?

**ზვიად ქორიძე** – ამის გამო ძნელია ხელისუფლების დადანაშაულება. თუმცა, მსგავსი სიტუაციისთვის მზაობა აუცილებლად უნდა იყოს. ჩვენ კი დღემდე უმოწყალოდ ვჩეხთ ტყეებს, დღემდე ვერჩით მდინარეებს და მიმართულებებს ვუცვლით მათ. ძალიან მაინტერესებს პასუხი კითხვაზე, თუნდაც, რატომ დაიტბორა ბათუმი და ქობულეთი მაინცდამაინც 2005 წელს.

ხელისუფლების გაკრიტიკება იმის გამო, რომ მოვიდა წვიმა ან მეწყერი, არასწორი იქნებოდა, თუმცა ხელისუფლებას უნდა აკრიტიკებდე იმის გამო, რომ იგი ყოველთვის მზად უნდა იყოს მსგავსი მოვლენებისთვის, ყოველთვის უნდა ჰქონდეს საამისო რესურსები და რეზერვებიც.

**ალექსანდრე ელისაშვილი** – მოდით, ვისაუბროთ ფენომენზე – "ვაცადოთ". ძალიან ხშირად, ხელისუფლების კრიტიკის შემთხვევაში, სწორედ ეს სიტყვა გვესმის. ოპოზიციის მხრიდან კრიტიკის დროსაც, ხელისუფლების პასუხი არის: გვაცადეთ. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში?

**ზვიად ქორიძე** – ეს მიდგომა, გარკვეულწილად, საზოგადოების მხრიდან უპასუხისმგებლობის გამომჟღავნებაა, რადგან, ვაცადოთ ხელისუფლებას – ნიშნავს, მთელი ფუნქციები, უფლებები და პასუხისმგებლობა მას გადავცეთ, ჩვენ კი მხოლოდ სეირის მაყურებლები ვიყოთ.

ვფიქრობ, ჩვენს ხელისუფლებას არ უნდა ვაცადოთ, პირველ რიგში, სასამართლოს უზურპაცია, აზრის, მედიის უზურპაცია. არ უნდა ვაცადოთ ადგილობრივი მმართველობის უზურპაცია. ანუ, ჩვენ ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ დავიცვათ საკუთარი უფლებები. ხელისუფლებას ჩვენგან, საზოგადოებისგან უფლებები დელეგირებული აქვს, მაგრამ არა 100 პროცენტით.

**რადიომსმენელი:** გეთანხმებით, ბატონო ზვიად, რომ ხელისუფლებაში შეიძლება იყოს ისეთი პიროვნებები, რომლებიც თქვენ, ოპოზიციას, არ მოგწონთ, მაგრამ ოპოზიციაში ყველა წმინდაა? და კიდევ ერთი, ჟურნალისტები მუდმივად რომ კითხულობენ მორალს, მათ შორის ყველა წმინდაა? იქნებ ერთმანეთს წაუკითხოთ მორალი?

**ზვიად ქორიძე** – პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ მე ოპოზიციაში არ ვარ და, მით უმეტეს, არც ერთ ოპოზიციურ ძალასთან საკუთარ თავს არ მოვიაზრებ. მე მედიის წარმომადგენელი ვარ და, აქედან გამომდინარე, მედიატორის ფუნქციას ვასრულებ. ამჟამად მე, უბრალოდ, საკუთარ მოსაზრებებს გამოვთქვამ იმ პროცესებთან დაკავშირებით, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს.

როგორ შეიძლება, მაგალითად, ვიყო დაუნახავი, როდესაც იმ ტიპის პოლიტიკურ ლიდერს ვხედავ, როგორიც არის განათლების მინისტრი. მე აბსოლუტურად კარგად მესმის, რომ იმ პროცესს, რომელიც კახა ლომაიამ დაიწყო, ზუსტად ისეთი ხისტი მიდგომა სჭირდება.

მაგრამ, ასევე არ შემიძლია თვალზე ბინდი გადავიკრა, როდესაც ვხედავ იმ პროცესს, რაც ქართულ პოლიციაში, ან არმიაში მიდის.

რაც შეეხება იმას, არის თუ არა მედიაში ყველაფერი წმინდა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჟურნალისტები, პირველ რიგში, ასახავენ მოვლენებს, აფასებენ მათ და იქ, ჩემი აზრით, მორალის კითხვაზე საუბარი საერთოდ არ არის.

# ვინ მართავს ფოთს - ქალაქის მერი თუ „ნაციონალების" ლიდერი?!

*ფოთის მერის პატიოსნებაზე ქალაქში არავინ კამათობს, თუმცა ბევრს მიაჩნია, რომ ივანე საღინაძე აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირის სავარძელს მხოლოდ ფორმალურად იკავებს და ნებისმიერ გადაწყვეტილებას "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარეს დავით შურღაიას უთანხმებს.*
*არის თუ არა შურღაია ფოთის დე ფაქტო მმართველი? - "24 საათის" შეკითხვებს პასუხობს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე.*

ქეთინო ჯაკობია

**- ბატონო დავით! რას აკეთებს პარტიის საქალაქო ორგანიზაცია, როგორია მისი რეიტინგი და ხომ არ ხედავთ თქვენი და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში პარარელიზმს?**

- არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტასაც, შესაძლოა, დიდი დრო დასჭირდეს, პარტიასთან ურთიერთობის შედეგად კი მარტივად და ოპერატიულად მოგვარდება. საამისოდ ბევრი მაგალითი შემიძლია დავასახელო. კორესპონდენციებით სავსეა საქაღალდეები. საქალაქო ორგანიზაციის თითოეული აქტივისტი მოტივირებულია, რომ საქმე აკეთოს. ფოთელებს უნდა დავანახოთ, რომ ისინი მარტონი არ არიან. თითოეული უბნიდან, ქუჩიდან შემოსული სიგნალის შემდეგ ვსწავლობთ საკითხს, მთავრობის წევრებთან თუ სამსახურის ხელმძღვანელებთან ვახდენთ მის დეტალურ დაზუსტებას. მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს, რატომ არ მუშაობს, ვთქვათ, სატუმბი სადგურები, რატომ არ გაიწმინდა სანიაღვრე არხები და ა.შ. ეს ყველაფერი ვინმე კონკრეტულის კი არა, საერთო პრობლემაა.

**- ქალაქში სწორედ პრობლემებისადმი მიდგომას გიწუნებენ.**

- მართალია, ზოგს ჩემი მწარე სიტყვა არ მოსწონს, მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელია, რეაგირება მოახდინო ადამიანთა ჯერ კიდევ შემორჩენილ იმ კატეგორიაზე, რომელიც მიჩვეულია ზიგზაგებით მუშაობას. ბიუჯეტში წინასწარ ყველა საკითხის გათვალისწინება შეუძლებელია და არც ამდენი წლის მანძილზე დანგრეულ-დაქცეული ქვეყანა აშენდება ერთბაშად. ქალაქის მთავრობასთან, მერთან ერთად ვმუშაობთ ყველაზე პრობლემატური საკითხების მოგვარებაზე, როცა საჭიროა - 24-საათიანი რეჟიმითაც კი. ვინც საქმეს სახელმწიფოებრივი ხედვით არ ეკიდება, მას პროცესების დაჩქარებას ვაიძულებთ, რა თქმა უნდა, კანონით განსაზღვრული ბერკეტებით. ბევრი ამბობს, რომ შურღაია ყვირის, ხმაურობს... არ მოსწონთ ჩემი მუშაობის სტილი, მაგრამ სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე მართლა არავის დავინდობ, რადგან სახელმწიფო უნდა აშენდეს და ნორმალური, ცივილიზებული სახე მიიღოს.

**- პარტიის აქტივისტები აქციებს ხშირად აწყობთ. ენთუზიაზმი გასაგებია, მაგრამ იგივე დასუფთავება-კეთილმოწყობა-გამწვანებას, სკვერების აღდგენას, უმწეოთა დახმარებას თანხები სჭირდება. ხეივანი, რომელიც ნაბადის უბანში, "ნაციონალური მოძრაობის" ეგიდით შენდება, რამდენიმეათასიანი პროექტია. როგორ ხდება ფინანსების მოძიება?**

- ქალაქში მყავს მეგობართა სერიოზული ჯგუფი, რომელიც პარტიას ეხმარება. მე მათ თანხას კი არა, კონკრეტული საქმეების მოგვარებას ვთხოვ. ანუ, თუნდაც იგივე სკვერის მოსაწყობად სამშენებლო მასალას. ადრე, ქალაქს გარკვეული კლანები მართავდნენ. ის დრო წარსულს ჩაბარდა. ჩვენი დიდი ძალისხმევის შედეგად, ადამიანები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სიკეთე უნდა აკეთონ. ენთუზიასტები გამოჩნდნენ. ჩვენთან უკვე მოსახლეობაც მოდის კონკრეტული ინიციატივებით. მათი და "ნაციონალების" აქტივისტების ერთობლივი ღონისძიებების ამსახველი მოზრდილი არქივი არსებობს.

**- ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ ადგილობრივ ბიზნესმენთა მხრიდან ეს მხოლოდ მეგობრული ჟესტია. იქნებ ეშინიათ და პარტიის ლიდერის სახით ე. წ. "კრიშას" ეძებენ? ქალაქში ამბობენ, რომ აქ თქვენი ფინანსური ინტერესებიც იკვეთება.**



*"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით შურღაია.*

- არანაირად. გაზრდილი შემოსავალი უცებ დამეტყობოდა. მე არც საკუთარი ბინა მაქვს და არც მანქანა. ქალაქში ყოველთვის იყო ფინანსური პოტენციალის გამოყენების საშუალება, მაგრამ შევარდნაძის ხელისუფლების დროს თანხები მავანთა ჯიბეებში ილექებოდა და სხვისი გაკეთებულით სხვა იწერდა ქულებს. ახლა ამ ხალხს არავინ აწუხებს და მათაც გაუჩნდათ დახმარების სურვილი. ეს ქალაქი არც მარტო ჩემია და არც "ნაციონალების", იგი ფოთელებისაა, მთლიანად საქართველოსია.

**- იმ ფონზე, როცა ქალაქს ელექტროენერგიის, სასმელი წყლის, სანიაღვრე კანალიზაციის პრობლემები მოუგვარებელი აქვს, ხელისუფლების მიერ პრიორიტეტად მიჩნეული ფასადების გალამაზება საზოგადოების ერთმა ნაწილმა უარყოფითად შეაფასა. თქვენ როგორ მიგაჩნიათ, საბიუჯეტო სახსრები მიზანმიმართულად იხარჯება?**

- კეთდება ის, რაც მრავალი წლის მანძილზე არ გაკეთებულა. შენობათა ფასადები ილესება, დაიწყო გარე განათებების მოწესრიგება. სერიოზული პროექტებია წყალსადენის მშენებლობასთან, გაზიფიკაციასთან დაკავშირებით. ახალი ქარხნების ამოქმედება იგეგმება. ქალაქი რომ სოფელს ჰგავდა და ახლა კოლაფსიდან გამოვდივართ, ეს არის ცუდი? სერიოზული პროცესი დავიწყეთ მიწებთან დაკავშირებით. არის შემთხვევები, როცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები სასოფლო-სამეურნეოდაა გაფორმებული და ბიუჯეტი სოლიდურ თანხას კარგავს. გაირკვევა წლების წინათ შესყიდული შენობა-ნაგებობების კანონიერებაც. მალე ქალაქში საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სათათბირო შეიქმნება და პრიორიტეტებსაც ის განსაზღვრავს.

**- ქალაქის მერი მართლა თქვენი დირექტივებით იღებს გადაწყვეტილებებს?**

- სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს ერთად განვიხილავთ და ეს უარყოფით ტენდენციად არ მიმაჩნია. პირიქით, ურთიერთპატივისცემის ერთგვარი ფორმაა. მთავრობა და მმართველი პარტია ერთიანი ორგანიზმია, გადაწყვეტილებაც ერთობლივი კონსულტაციების შედეგად მიიღება.

**- რამდენად სწორად მიგაჩნიათ საბიუჯეტო სტრუქტურების კადრებით დაკომპლექტებაში თქვენი აქტიური ჩარევა?**

- არც ერთი ჩემი მეგობარი და ნათესავი ხელმძღვანელ თანამდებობაზე არ დანიშნულა. რეკომენდაციას მხოლოდ პარტიის საუკეთესო წევრებს ვაძლევ. თავიანთი სახელმწიფოებრივი ხედვით მათ საზოგადოებაში გარკვეული ადგილი დაიმსახურეს.

**- დავით კირკიტაძის ხელმძღვანელობით შექმნილი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნაში ფოთის საკრებულოს დაშლის მიზანშეწონილობაზეა საუბარი. ალბათ, ეს თქვენთვის მისაღებია, რადგან პრეზიდენტის პირდაპირი მმართველობა მერის სავარძლისკენ გზას გაგიიოლებთ.**

- ბატონმა დავითმა კარგად იცის, რომ 2002 წლის 2 ივნისის არჩევნებისას საკრებულოს წევრთა უმრავლესობა შედეგების გაყალბების გზით არის მოსული. მერობის ამბიცია არასოდეს მქონია, რადგან მესმის, რა მძიმეა მმართველის ტვირთი. მე აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ ვარ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია თანამდებობა, რომელზეც პარტიამ ამირჩია.

**- თქვენ ხშირად დედაქალაქელ კოლეგებსაც გადარებენ. რა ემოციას იწვევს თქვენში, როცა ფოთელები "ადგილობრივ კირკიტაძეს" გიწოდებენ?**

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ შეკითხვა უპასუხოდ დატოვა. "ფოთელი კირკიტაძე" კი პარლამენტარ სეხნიასთან პრინციპულობით, მომთხოვნელობით, და არცთუ იშვიათად, ლელოს რიხით და უცერემონიოდ გატანით ასოცირდება. ალბათ, ამიტომ, ოპონენტებიც ბევრი ჰყავს. თუმცა, შურღაია ძველ ანდაზა - "ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის" - იშველიებს და ირწმუნება, რომ მისთვის მთავარი - რეალური საქმის კეთებაა.


სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **შუახევის რაიონის, სოფელ ჭვანის სკოლის რემონტის სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ჭვანის სათემო კავშირთან "გვანცა"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"გვანცა"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, შუახევის რაიონი,**
**სოფელ ჭვანის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ნოდარ ბეჟანიძე, სათემო კავშირი "გვანცა"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 7 ოქტომბრიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 600** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, შუახევის რაიონი,**
**სოფელ ჭვანის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ნოდარ ბეჟანიძე, სათემო კავშირი "გვანცა"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 4 ნოემბრის 12 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



## შ.პ.ს. ჯეოინჟინირინგი

**www.geoengineering.ge**

გთავაზობთ ვაკანსიას საავტომობილო გზებისა და რკინიგზის საკვლევ-საძიებო და საპროექტო საქმის წამყვანი ინჟინრის თანამდებობაზე (ორი ადგილი)

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

1. საკვლევ-საძიებო, ტოპოგრაფიული და გეოდეზიური სამუშაოების შესრულება;
2. საავტომობილო გზების (რკინიგზის) საპროექტო სამუშაოების შესრულება;
3. ტოპოგრაფიული მასალების კამერული დამუშავება;
4. გეოდეზიური ხელსაწყოების (თეოდოლიტი, ნიველირი) ნგამოყენება და ცოდნა.

**კვალიფიკაცია და გამოცდილება**

1. უმაღლესი საინჟინრო განათლება;
2. მუშაობის არანაკლებ 4-5 წლის გამოცდილება;
3. კომპიუტერში მუშაობის უნარ-ჩვევები საინჟინრო გრაფიკაში (Autocad პროგრამაში);
4. თვითორგანიზებული, გუნდური მუშაობის უნარი;
5. ენების ცოდნა: ქართული, რუსული (სასურველია ინგლისური).

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

1. დიპლომის ასლი
2. CV;
3. რეკომენდაციები (სასურველია).

განცხადევის მიღების საბოლოო ვადა არის 2005 წლის 18 ოქტომბერი.

დაინტერესებულ კანდიდატებს დოკუმენტაციისა და კითხვების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე:

**თბილისი, თამარაშვილის 15ა, საინჟინრო კომპანია**
**"ჯეოინჟინირინგი"**
**ელ.ფოსტა: contact@geoengineering.ge , ფაქსი (+99532) 311 787**



BECHTEL

## ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ
## კონფერენცია სამუშაოს შეთავაზების შესახებ ქართველი ქვეკონტრაქტორების და მომწოდებლებისთვის

ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ. - ამერიკული სამშენებლო-საინჟინრო კომპანია ბექტელის წარმომადგენლობითი ოფისი, ბექტელთან წინასწარ კვალიფიცირებული ქვეკონტრაქტორების ან მომწოდებლების რანგში თანამშრომლობით დაინტერესებულ კომპანიებს იწვევს **კონფერენციაზე**, რომელიც გაიმართება **2005 წლის 20 ოქტომბერს, 09:30 დან 12:00 მდე "მარიოტ ქორთიარდში, დარბაზი N2 (მე-2 სართული)**.

კონფერენციის მსვლელობისას ბექტელი წარმოადგენს შემდეგ საკითხებს:

საქართველოში ბექტელის საქმიანობის მიმოხილვა
- სამომავლო შესაძლებლობები ახალი, თანამედროვე სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობის მხარდასაჭერი სამუშაოების დროს (განთავსდებიან თბილისში და დანარჩენ საქართველოში)

მოთხოვნები და პროცედურები, რომელიც საჭიროა, რათა გახდეთ ბექტელის ტენდერის მონაწილე
- ჩვენი წინადადებაზე მოთხოვნების პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა ტექნიკური და სამშენებლო მომსახურებისთვის და კვოტირებაზე მოთხოვნის პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა აღჭურვილობის და მასალების შესყიდვაზე

ბექტელის ტენდერის, შეფასების და კონტრაქტის გაფორმების პროცესის ახსნა
- საკონტრაქტო შეთანხმების ტიპები, რომელსაც ბექტელი ყველაზე ხშირად იყენებს

ფასების კალკულაციის და ანაზღაურების პირობები
- პირობებთან შესაბამისობის და ეთიკის მნიშვნელობა ჩვენს ბიზნეს შეთანხმებებში

ბექტელის გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის მოთხოვნების და ქვეკონტრაქტორების მიერ მათი შესრულების მნიშვნელობა
- რა შედის ბექტელის მიერ მომზადებულ სამუშაოს აღწერის ტიპიურ დოკუმენტში

წარსადგენი მასალები, რომლებიც, როგორც წესი, მოეთხოვებათ ქვეკონტრაქტორებს სამუშაოების დაწყებამდე
- რა ტიპის აღჭურვილობას და მასალებს შეისყიდის ბექტელი ამჟამად ქვეყანაში და ჩვენი სამომავლო მოთხოვნები

რა ტიპის ტექნიკური და სამშენებლო მომსახურების ქვეკონტრაქტების დებს ამჟამად ბექტელი ქვეყანაშიUდა ჩვენი სამომავლო მოთხოვნები
- დამსწრე საზოგადოების შეკითხვები ბექტელის პრეზენტაციის ბოლოს.

ამ კონფერენციის დროს პოტენციურ ქვეკონტრაქტორებს და მომწოდებლებს გადაეცემათ კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის / ქვეკონტრაქტორის კითხვარის პაკეტები და ეცნობებათ თუ როდის და რა მისამართზე უნდა გაუგზავნონ თავიანთი პასუხი ბექტელს. კომპანიების მიერ შევსებულ კითხვარს კი ბექტელი გამოიყენებს თქვენი კომპანიის კვალიფიკაციის შესაფასებლად და იმის გადასაწყვეტად, ჩართოს თუ არა თქვენი კომპანია ტენდერის მონაწილეთა სიაში, რის შემდეგაც კომპანიას გაეგზავნება წინადადებაზე მოთხოვნის პაკეტები.

იმისთვის რომ თქვენი კომპანია ჩაითვალოს წინასწარ კვალიფიცირებულ ქვეკონტრაქტორად, მას უნდა გააჩნდეს გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის გეგმა და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბექტელის სტანდარტებს, რომლებიც განიხილება ამ კონფერენციის დროს.

თუ თქვენი კომპანიას აქვს საქართველოში მუშაობის ლიცენზია, სტაბილური ფინანსური მდგომარეობა და არის გამოცდილი, გირჩევთ აუცილებლად დაესწროთ ჩვენს კონფერენციას.

სასტუმრო ქორთიარდ მარიოტი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: თავისუფლების მოედანი 4, 0105, თბილისი, საქართველო

**თქვენს კომპანიას ვთხოვთ წინასწარ შეგვატყობინოს კონფერენციაზე დასწრების შესახებ. შეტყობინება უნდა გაუგზავნოთ ქ-ნ ლელა მაჩაიძეს ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე lmachaid@bechtel.com ან ტელეფონის ნომერზე 995 32 47 40 40, ან კიდევ გამოგზავნოთ ფაქსით ნომერზე 995 32 92 29 96 2005 *წლის 13 ოქტომბრამდე.* რაკიღა კონფერენციაზე ველით დამსწრეთა დიდ რაოდენობას, უმორჩილესად ვთხოვთ თითოეულ კომპანიას გამოგზავნონ ორი (2) მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი.**



**ევროკომისის**
**წარმომადგენლობა საქართველოში**
**2005 წლის 7 ოქტომბერი**

## კონკურსი დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების ევროპული ინიციატივის მიკროპროექტების პროგრამის ფარგლებში გრანტის მოსაპოვებლად

**კონკურსის საცნობარო ნომერი: EuropeAid/122-211/L/G/GE**

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს კონკურსს დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების ევროპული ინიციატივის (EIDHR) პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში განსახორციელებელი მიკროპროექტების თაობაზე. ***ამ კონკურსის ფარგლებში გამოყოფილი მთლიანი თანხა შეადგენს 465,000 ევროს.***

დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების ევროპული ინიციატივის (EIDHR) მიკროპროექტების პროგრამის ზოგადი მიზანია სწრაფი რეაგირება იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნებზე, რომლებიც შექმნილნი არიან დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხარდასაჭერად. Gგრანტის მოსაპოვებლად კონკურსზე წარმოდგენილი განაცხადები უნდა ეხებოდეს შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებს:

**ადამიანის უფლებათა დაცვის კულტურის ხელშეწყობა**

(1) მარგინალური და დაუცველი ჯგუფების უფლებების განვითარების გზით.
(2) წამების თავიდან აცილებისა და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის გზით.

გრანტებით შეიძლება დაიფაროს პროექტების ხარჯების მაქსიმუმ 80%.

გრანტებით დაფინანსებული პროექტების მაქსიმალური ხანგრძლივობა 18 თვეა.

მინიმალური გრანტი შეადგენს 10, 000, ხოლო მაქსიმალური - 50, 000 ევროს.

განაცხადის შემოტანა შეუძლიათ მხოლოდ არაკომერციულ და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ორგანიზაციების სათაო ოფისი უნდა უნდა მდებარეობდეს საქართველოში, ანდა ისინი უნდა წარმოადგენდენ სხვა ქვეყანაში სათაო ოფისის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციის ადგილობრივ დამოუკიდებელ განყოფილებას. პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს **საქართველოში.** განცხადების შემოტანა შესაძლებელია ცალკე ან ჯგუფში, კონსორციუმის სახით.

დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ "სახელმძღვანელო მითითებებში გრანტის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის", რომელიც ამ განცხადებასთან ერთად ქვეყნდება საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ვებ გვერდზე: http://www.delgeo.cec.eu.int/en/proposals/proposals.html. "სახელმძღვანელო მითითებები გრანტის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის" შეგიძლიათ აგრეთვე მიიღოთ საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობაში, მისამართზე: თბილისი, ნინო ჩხეიძის ქ. 38 0102, ტელეფონი +995 32 943 763, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9-00-დან 17-00 საათამდე.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა **2005 წლის 12 დეკემბერი, 16:00 საათი** საქართველოს დროით. ევროკომისიის წარმომადგენლობის მიერ ამ ვადის შემდეგ **მიღებული** ნებისმიერი განაცხადი არ განიხილება.

კონკურსის შესახებ შეკითხვები უნდა გაიგზავნოს ფაქსზე +995 32 943 768 ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: delegation-georgia-eidhr-micro@cec.eu.int. გთხოვთ მიუთითოთ კონკურსის საცნობარო ნომერი.

კონკურსის მონაწილეებს ვურჩევთ განაცხადების მიღების ბოლო ვადამდე რეგულარულად ეწვიონ ზემოთ მითითებულ ვებ გვერდს, სადაც ევროკომისიის წარმომადგენლობის მიერ გამოქვეყნდება პასუხები ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვებზე.

# წითელ ცირკულარში შეყვანილი ქართველი კრიმინალი მოსკოვში დააპატიმრეს

პირველი გვერდიდან

სამართალდამცველთა ინფორმაციით, ირაკლი კორტავა თბილისში ადამიანის გატაცებაზე მომუშავე "სვანების დაჯგუფებამ" გაიტაცა. იგივე ინფორმაციით, გამტაცებელთა ჯგუფის ლიდერი გახლდათ მურმან ტვილდიანი, მეტსახელად „ხალვა", რომელსაც სამართალდამცველები განსაკუთრებით საშიშ დამნაშავედ მიიჩნევენ და რომლის შესახებაც აცხადებენ, რომ იგი "კანონიერი ქურდის" სტატუსით ცნობილი, მაგრამ ბოლო პერიოდში გაბიზნესმენებული ტარიელ ონიანის უახლოესი ნათესავია. ირაკლი კორტავას გატაცებაში ბრალდებულმა "ხალვამ" საქართველო წლების წინ დატოვა და ის ახლობელთან, ავტორიტეტულ კრიმინალთან ესპანეთში აფარებდა თავს.

ქართველი სამართალდამცველების მიერ ძებნილი მურმან ტვილდიანი ინტერპოლმა 2003 წლის აპრილში, ესპანეთის ერთ-ერთ საკურორტო ქალაქში დააკავა. თუმცა, მისი ექსტრადიცია მაშინ არ განხორციელებულა. ესპანელმა სამართალდამცველებმა საპატიმრო ვადის ამოწურვის შემდეგ ის გაათავისუფლეს. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა ტვილდიანის ექსტრადიცია, ფაქტობრივად, არ მოითხოვეს. ტვილდიანის ბრალეულობის დამადასტურებელი მწირი მასალები გენერალურმა პროკურატურამ საერთაშორისო ნორმების დარღვევით და დაგვიანებით გაგზავნა ესპანეთში - მაშინ, როცა საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული 40-დღიანი ვადა ამოწურული იყო.

ამ ფაქტის შესახებ თავის დროზე სერიოზული სკანდალი ატყდა. გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, ტვილდიანის საქმის ხელოვნური გაჭიანურება გენერალური პროკურატურის მაღალჩინოსანთა დირექტივით მოხდა; ესპანეთში მცხოვრები ცნობილი "კრიმინალური ავტორიტეტის" ჩარევის შემდეგ.

მურმან ტვილდიანი ესპანეთში მეორედ გასული წლის მაისში დააპატიმრეს. ექსტრადიციის პროცედურას კარგა ხანი დასჭირდა და საბოლოოდ ის საქართველოში მაინც ჩამოიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ ტვილდიანის საქმე საკმაოდ სკანდალური იყო და, წესით, მისი ექსტრადიციის გახმაურება სამართალდამცველთა ინტერესშიც უნდა ყოფილიყო, ასე არ მოხდა. არც ტვილდიანის ექსტრადირებისა და არც სასწრაფოდ დაწყებული პროცესის შესახებ ინფორმაცია არ გაჟღერებულა – "ხალვას" საქმის განხილვა სასამართლოში ოპერატიულად და გასაიდუმლოებულად ჩატარდა; თანაც, იმ დროს, როცა კორტავას გატაცების გამო დაკავებულ ტვილდიანის ჯგუფის სხვა წევრებს 10-12-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. სასამართლომ, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, "საშიშ დამნაშავეს" – ტვილდიანს აღმკვეთი ღონისძიება მსუბუქი სანქციით - პოლიციის ზედამხედველობით შეუცვალა და პატიმრობიდანაც გაათავისუფლა.

არადა, ტვილდიანის საქმის სასამართლო მსვლელობას საზოგადოებაში გაჩენილი ძალზე ბევრი, მნიშვნელოვანი კითხვისთვის უნდა გაეცა პასუხი.

საქმე ისაა, რომ წლების წინ ირაკლი კორტავას გამტაცებლების დაკავების სპეცოპერაცია შსს-მ საკმაოდ გასაიდუმლოებულ ვითარებაში ჩაატარა. თავდაპირველად გავრცელებული ვერსიით, დაკავებული ჯგუფის წევრები კახი კალაძის ძმის, ლევან კალაძის გატაცების საქმესთან იყვნენ დაკავშირებულები. სხვათა შორის, ლევან კალაძის გატაცებასთან დაკავშირებით არაერთი ვერსია გაჩნდა. სამართალდამცველები სახელგანთქმული ფეხბურთელის ძმის გამტაცებლებს სხვადასხვა კრიმინალურ დაჯგუფებაში ეძებდნენ. პერიოდულად ჩნდებოდა ინფორმაცია ამ საქმესთან დაკავშირებით ამა თუ იმ პირის დაკავების შესახებაც. თუმცა, საბოლოოდ ვერც ერთ მათგანს ლევან კალაძის გატაცების ბრალდება ვერ (თუ არ) წაუყენეს.

მიუხედავად ინფორმაციის ნაირგვარობისა, ყველა ვერსიას ერთი საერთო მაინც ჰქონდა. საუბარია იმაზე, რომ ძმის გატაცება, უშუალოდ, კახი კალაძის "მილანში" ტრანსფერს მოჰყვა. შესაბამისად, ყველა ვერსია მიდიოდა იქამდე, რომ გამტაცებლებს სწორედ კახი კალაძის ტრანსფერში გადახდილი ასობით ათასი დოლარი აინტერესებდათ.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად კი, გატაცებით, ოლონდ არა ლევან, არამედ თავად კახი კალაძის, დაინტერესებული იყო ესპანეთში მცხოვრები ქართველი "კანონიერი ქურდი" (სწორედ ის, ვინც მურმან ტვილდიანს მფარველობს). გავრცელებული ხმების თანახმად, სწორედ მან უზრუნველყო "მილანის" მიერ კალაძის "ყიდვა". თუმცა, როდესაც საქმე წილის აღებაზე მიდგა, მისი კუთვნილი თანხა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელ ხელმძღვანელობაში გაიბნა.

ამბობენ, რომ მაშინ ესპანეთიდან ეგრეთ წოდებულმა "სვანების დაჯგუფებამ" (საუბარი იყო სწორედ ტვილდიანის დაჯგუფებაზე) კახი კალაძის გატაცების დავალება მიიღო. თუმცა, მცირე დაგვიანების გამო, მათ დავალების მხოლოდ ნაწილობრივ შესრულება მოახერხეს – საქართველოდან უკვე გამგზავრებული ფეხბურთელის ნაცვლად, მისი ძმა გაიტაცეს და "საქმის დამკვეთის" უკმაყოფილებაც გამოიწვიეს.

კალაძის საქმესთან დაკავშირებით დაკავებული იყო "სვანების დაჯგუფების" ერთ-ერთი ლიდერთაგანი ემზარ გვიჩიანიც. თუმცა, ის მალევე გაათავისუფლეს. ტვილდიანისგან განსხვავებით, ქართველი სამართალდამცველების მიერ გვიჩიანის გათავისუფლების მიზეზები უცნობია.

**"ტვილდიანი დაემალა გამოძიებას, გააკეთა ყალბი საბუთები, დატოვა საქართველოს ტერიტორია და თავი შეაფარა რუსეთს, სადაც ცხოვრობდა არალეგალურად. 2005 წლის ივნისში თბილისის რაიონულმა სასამართლომ მას შეუცვალა აღმკვეთი ღონისძიება და მასზე გამოაცხადა ძებნა. საქართველოს სამართალდამცველი უწყებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მურმან ტვილდიანი (კრიმინალური ზედმეტსახელი "ხალვა") წარსულში არაერთხელ ნასამართლევია, იყო ე.წ. სვანური კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი, აქვს სერიოზული კავშირები "კრიმინალური სამყაროს" ლიდერებთან საქართველოსა და რუსეთის მასშტაბით",** –

ნათქვამია რუსეთის შსს-ს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის ინფორმაციაში, რომელიც ცოტა ხნის წინ მოსკოვში ტვილდიანის დაკავების შემდეგ გავრცელდა და რომელიც მათ საქართველოდან მიიღეს.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მურმან ტვილდიანის ექსტრადიაციასთან დაკავშირებით მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მასალები უკვე გადაუგზავნა რუს კოლეგებს. **"მასალები დაუყოვნებლივ გავაგზავნეთ, ახლა რუსულ მხარეზეა დამოკიდებული, როდის მოხდება მისი ექსტრადიცია",** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსმა ელზა გურგენიძემ.

როდის მოხდება და მოხდება თუ არა საერთოდ "ხალვას" საქართველოში ექსტრადირება, ძნელი სათქმელია, რადგან გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, მისი მფარველი, რომელმაც ის უკვე ორჯერ იხსნა პატიმრობისგან და ამით საკუთარი თავიც იხსნა, ესპანეთის დატოვების შემდეგ მოსკოვში არალეგალურად ცხოვრობს. იგივე ინფორმაციით, ტვილდიანი მოსკოვშიც სწორედ მასთან ცხოვრობდა და ამჯერადაც მისი პატრონაჟის ქვეშ იმყოფება.

რუსეთის შსს-მ უკვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ მოწმდება დაკავებულის შესაძლო კრიმინალური საქმიანობა რუსეთში, რის შემდეგაც გადაწყდება მისი ექსტრადიციის საკითხი.






# AIG-მ ფუნქციონირება დაიწყო

## საქართველოში პირველი უცხოური სადაზღვევო კომპანია ამუშავდა

ნინო ნარჩემაშვილი

*საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე პირველი უცხოური კომპანია შემოვიდა. ამერიკის საერთაშორისო ჯგუფი (AIG), რომელიც მსოფლიოში საერთაშორისო დაზღვევის და ფინანსური მომსახურების წამყვან ორგანიზაციას წარმოადგენს და რომლის საქმიანობაც 130-ზე მეტ იურისდიქციას მოიცავს, უკვე საქართველოშიც იწყებს ფუნქციონირებას. AIG-ს ოფიციალური პრეზენტაცია 5 ოქტომბერს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში გაიმართა.*



2004 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დაზღვევის შესახებ კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა, OECD წევრ ქვეყნებში დარეგისტრირებულ სადაზღვევო კომპანიებს შესაძლებლობა მისცა დაეფუძნებინათ თავიანთი წარმომადგენლობითი ფილიალები საქართველოში. ამერიკის საერთაშორისო ჯგუფის (AIG) შვილობილი კომპანია AIG Europe S.A., რომლის ოფისიც პარიზში (საფრანგეთი) მდებარეობს, პირველი კომპანია გახლავთ, რომელმაც საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მუშაობის გადაწყვეტილება მიიღო. აღსანიშნავია, რომ AIG Europe S.A.-ს რეიტინგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს Standard&Poor's მიერ მინიჭებული აქვს AA+ რეიტინგი. კომპანიის მომსახურების სფერო მოიცავს არა-სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების სრულ სპექტრს. საქართველოში კი იგი ლიცენზირებულია დაზღვევის შემდეგ სახეობებში: ჯგუფური უბედური შემთხვევები; საავიაციო რისკები; სატვირთო გადაზიდვები; გადამზიდველების პასუხისმგებლობა; ქონებრივი რისკები; ფინანსური რისკები; პროფესიული პასუხისმგებლობა; საერთო სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

და კიდევ, ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - "AIG საქართველო" უფლებამოსილია განახორციელოს საქმიანობა და დაფაროს რისკები სომხეთში, რითაც კავკასიის რეგიონში სადაზღვევო სფეროში საქართველოს წამყვან როლს ადასტურებს.

ცენტრალურ ევროპასა და დსთ-ს ქვეყნებში AIG-ის არა-სიცოცხლის ოპერაციების პრეზიდენტის და AIG Europe S.A.-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ბენგტ ვესტერგრენის განცხადებით, **"კომპანია ოპერირებს ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში, ამდენად აუცილებელი იყო წარმომადგენლობის გახსნა საქართველოშიც, რათა AIG-ის საქმიანობა სრულყოფილი გამხდარიყო კავკასიის რეგიონში. გარდა ამისა, ამ რეგიონში ძალზე პერსპექტიულია არა-სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის გრძელვადიანი ზრდის პოტენციალი".**

"AIG საქართველო" 2005 წლის აპრილში დარეგისტრირდა და მაისში არა-სიცოცხლის დაზღვევის საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ლიცენზიები მიიღო.

"AIG საქართველოს" გენერალური მენეჯერის, ნიკოლოზ ქიტიაშვილის შეფასებით, "AIG-ის ოფისის გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენაა ნებისმიერი ქვეყნისათვის და ამის მიზეზი გახლავთ ის გარემოება, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო ინვესტორებს კომპანია მაღალი ხარისხის დაცვას სთავაზობს". საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის პრეზიდენტი დევი ხეჩინაშვილი აღნიშნავს, რომ AIG-ის შემოსვლა ქართულ სადაზღვევო ბაზარზე უდავოდ გაზრდის კონკურენციას და ამასთან მსურველებს შესაძლებლობას მისცემს, უშუალოდ იკონტაქტონ საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიასთან. საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი მდივნის გიორგი ისაკაძის თქმით, კომპანია AIG უმსხვილესია მსოფლიოში და ქართულ სადაზღვევო ბაზარზე ის შემოიტანს ახალ სადაზღვევო კულტურას, ახალ, პროგრესულ და სწორ თამაშის წესებს, ამდენად, მისი შემოსვლა მიღწევაა ქართული ბაზრისათვის.

## "პარლამენტარის ყოფილი მეუღლე ოჯახური ძალადობის მსხვერპლია"

*პარლამენტარ გოჩა ჩახვაძის ყოფილი მეუღლის, განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული ეთერ ჭუმბურიძის წინასწარი პატიმრობის საკითხი უახლოეს დღეებში საერთაშორისო ორგანიზაციების მსჯელობის საგანი გახდება.*


ინტერპრესნიუსი

*არასამთავრობოები პარლამენტარის ყოფილ მეუღლეს ძალადობის მსხვერპლად მიიჩნევენ.*

ოჯახურ ძალადობასა და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ჩახვაძე-ჭუმბურიძის საქმის გამოძიებაზე მონიტორინგს აწარმოებენ, ირწმუნებიან, რომ დეპუტატ გოჩა ჩახვაძის მეუღლე ოჯახური ძალადობის მსხვერპლია და სამთვიანი წინასწარი პატიმრობა, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ ეთერ ჭუმბურიძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ შეუფარდა, უკანონოა. სწორედ ოჯახურ ძალადობასა და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციის წევრები ამზადებენ მასალებს მომხდარის შესახებ, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებს გაეგზავნებათ.

**"ეთერ ჭუმბურიძეს ყოფილი მეუღლე სისტემატურად აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. ჭუმბურიძე მეუღლისგან სასტიკი მეთოდებით იდევნებოდა, ჩამორთმეული ჰქონდა შვილების ნახვის უფლება. საქმე ისაა, რომ საზოგადოება მხოლოდ პარლამენტარის საუბარს ისმენს, ჭუმბურიძის აზრი კი იგნორირებულია. მის წარსულს არც გამოძიება ითვალისწინებს. ეთერ ჭუმბურიძე იმისთვის დაასამარეს ცოცხლად, რომ ჩამორთმეული აქვს ყველანაირი უფლება, არ აქვს ქონება და არ იცავს დეპუტატის იმუნიტეტი",** – ასეთი ერთნაირი შინაარსის განცხადებებს აკეთებდნენ "ვერე-პალასში" ეთერ ჭუმბურიძის უფლებების დასაცავად შეკრებილი არასამთავრობო ორგანიზაციების "კავკასიის ქალთა ქსელის", ქალთა საკონსულტაციო ცენტრის "სახლისა" და"ძალადობისგან დაცვის ეროვნული ცენტრის" წარმომადგენლები.

ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები იმ ექსპერტიზის დასკვნებზე საუბრობენ, რომლებიც, მათი მტკიცებით, ადასტურებს, რომ ჭუმბურიძე მართლაც ძალადობის მსხვერპლია. ამ დასკვნებს საერთაშორისო ორგანიზაციები დეტალურად გაეცნობიან.

როგორც არასამთავრობოები აცხადებენ, დღეს საქართველოში ქალების 94 პროცენტი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია. ეს კერძო ხასიათის პრობლემა არ არის - სოციალური პრობლემაა. თუმცა, ამ საკითხს საზოგადოებაში სათანადო ყურადღება არ ექცევა. ეთერ ჭუმბურიძით დაინტერესება კი იმან გამოიწვია, რომ ის პარლამენტარის ყოფილი მეუღლეა.

**"ჩვენი მიზანია, ობიექტურად წარიმართოს გამოძიება და საზოგადოებას მივაწოდოთ სრული ინფორმაცია ამ გახმაურებულ შემთხვევაზე და მას ოჯახური ძალადობის პრობლემის გაცნობიერებაში დავეხმაროთ",** - აცხადებენ არასამთავრობოები.

დატოვებენ თუ არა წინასწარ პატიმრობაში ეთერ ჭუმბურიძეს, ეს ამ დღეებში, მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც საოლქო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე იმსჯელებს. როგორც ბრალდებულის ადვოკატები აცხადებენ, თუკი სასამართლოზე კვლავ პოლიტიკური ზეწოლა არ განხორციელდება და პროცესი ობიექტურად ჩატარდება, ეთერ ჭუმბურიძე სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდება.

**"ჯერ არანაირი ექსპერტიზა არ არის ჩატარებული. გამოძიებას ეთერ ჭუმბურიძის პატიმრობისთვის მხოლოდ დაინტერესებული მხარის ოთხი მოწმის ჩვენება აქვს. მას სწორედ ამ მოწმეების ჩვენების საფუძველზე წარუდგინეს ბრალდება და შეუფარდეს წინასწარი პატიმრობა. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს იურიდიული გადაწყვეტილება, რომლითაც შვილებზე მეურვეობა მამას მიენიჭა. განქორწინების თაობაზე, რუსთავის სასამართლოს გადაწყვეტილებით, შვილებს საცხოვრებელ მისამართად მიეთითათ ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე მამის სახლი, რაც მამისთვის შვილების მიკუთვნებას არ ნიშნავს. სასამართლოს ეთერ ჭუმბურიძისთვის არ განუსაზღვრავს შვილების ნახვის დღეები. თუმცა, დედას საკუთარ ბავშვებთან ტელეფონით საუბრის საშუალებასაც კი არ აძლევენ,"** - აცხადებს ეთერ ჭუმბურიძის ინტერესების დამცველი ირაკლი ართილაყვა.

*24 საათი*

## მოკლედ

### კახა თარგამაძე საქართველოს მოქალაქეობაზე უარს აცხადებს

იუსტიციის სამინისტროში საქართველოს ყოფილი შს მინისტრის კახა თარგამაძისა და მისი მეუღლის მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხი განიხილება. როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, საქართველოს შს ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძე და მისი მეუღლე თამუნა ჯაფარიძე რუსეთის მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეობაზე უარს აცხადებენ. მათი მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ამჟამად განიხილება. შესაბამისი დასკვნის მომზადების შემდეგ იუსტიციის სამინისტრო მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე ბრძანებულების პროექტს ხელმოსაწერად საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს.

კახა თარგამაძემ და მისმა მეუღლემ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს მეშვეობით განაცხადეს. **24 საათი**

### ჭუბურხინჯის შეხვედრაზე გალის რაიონში არსებული ვითარება განიხილეს

ჭუბურხინჯის გუშინდელ ოთხმხრივ შეხვედრაზე მხარეებმა გასულ კვირაში გალის რაიონში არსებული სიტუაცია განიხილეს და შექმნილ ვითარებას მშვიდი და სტაბილური უწოდეს. პრეტენზიები არც ერთ მხარეს არ გამოუთქვამს.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობო ძალების სარდლის ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, გასულ კვირაში გალის რაიონში ყაჩაღობის სამი შემთხვევა დაფიქსირდა. აფხაზური მხარე ყაჩაღობაში აფხაზი მილიციელების მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს.

რაც შეეხება რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და გაერო-ს წარმომადგენლებს, მათმა მეთვალყურეებმა განაცხადეს, რომ რაიონში სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა. საზღვრის დარღვევის ფაქტზე აფხაზურმა მხარემ ერთი ადამიანი დააკავა. თუმცა, რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც მისი ვინაობა გაირკვა, იგი გალის წინასწარი დაკავების იზოლატორიდან გაათავისუფლეს. **ინტერპრესნიუსი**

### დაზარალებული ცრუ დასმენისთვის დააკავეს

ნასამართლევი, 40 წლის გოჩა მიშელაშვილი პოლიციელებმა ცრუ დასმენისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, მიშელაშვილმა აგვისტოში პოლიციას მიმართა და განაცხადა, რომ მისმა ნაცნობმა, 34 წლის გელა კალანდარიშვილმა იარაღის მუქარით გასტაცა ავტომანქანა "გრანდ-ჩეროკი".

სამართალდამცველებმა კალანდარიშვილი დააკავეს. მისგან მცირეკალიბრიანი შაშხანის 2 ცალი ვაზნა ამოიღეს. წინასწარი გამოძიების პროცესში, ორი დღის წინათ მიშელაშვილმა განაცხადა, რომ მას კალანდარიშვილი თავს არ დასხმია და ავტომანქანა თავისი ნებით გადასცა.

დაზარალებულის მიერ ჩვენების შეცვლას მისი დაპატიმრება მოჰყვა. მისთვის წაყენებული ბრალი ცრუ დასმენის შესახებ ორ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ფეხბურთი

# დარსაძემ ნაკრები "გახსნა"

## ყაზახებს ცარიელი ტრიბუნებით დავუხვდებით

მიხეილ აბაიშვილი

ხვალ საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლოსწინა მატჩს გამართავს. თამაშში, რომელსაც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული არენა უმასპინძლებს, ჩვენი მეტოქეა ყაზახეთის ეროვნული გუნდი. ამ შეხვედრას არც ერთი გუნდისთვის არავითარი სატურნირო მნიშვნელობა არა აქვს. საქართველოსა და ყაზახეთის ნაკრები გუნდები მეორე შესარჩევი ქვეჯგუფის გამოკვეთილი აუტსაიდერები არიან და, ამდენად, ეს მატჩიც, მხოლოდ სტატისტიკისთვის არის მნიშვნელოვანი.

თუმცა, მოგეხსენებათ, ქართულ ფეხბურთს ახალი მესაჭე ჰყავს, რომლის "წვლილი" ამ წარუმატებლობებში, დამეთანხმებით, ძალზე მცირეა. დანიაში განცდილ ფიასკოს თუ არ ჩავთვლით, სამ მატჩში მოპოვებული ოთხი ქულა პერსპექტივის იმედსაც კი იძლევა. შესაბამისად, ხვალ ყაზახეთთან და 12 ოქტომბერს საბერძნეთის ნაკრებთან შეხვედრები, პირველ რიგში, სწორედ პერსპექტივის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. ურემი უკვე გადაბრუნებულია და დარჩენილი თამაშები იმისთვის მაინც უნდა გამოვიყენოთ, რომ ნაკრები შეთამაშდეს და მომდევნო შესარჩევ ციკლს, რომელიც 2006 წლის შემოდგომაზე აიღებს სტარტს, შეძლებისდაგვარად უკეთ მომზადებული შევხვდეთ.

უკვე მეოთხე დღეა ჩვენი ეროვნული გუნდი შეკრებილია დიდ დიღომში მდებარე ბასა ღოლობერიძის სახელობის ეროვნული ნაკრები გუნდების ტექნიკურ ცენტრში. პირველი ორი დღის განმავლობაში გაიოზ დარსაძემ ვარჯიშები "დახურა" და საწვრთნელი პროცესი გასაიდუმლოებულ ვითარებაში წარმართა. პრინციპში, მნიშვნელოვანი თამაშების წინ ასეთ პრაქტიკას ევროპელი მწვრთნელების უმრავლესობა მიმართავს და ამაში გასაკვირი არაფერია. გუშინ დარსაძემ ეს იზოლაცია დაარღვია და ავლაბარში, "ოლიმპის" სტადიონზე ეგრეთ წოდებული "ღია ვარჯიში" ჩაატარა. ცქიტიშვილის, გახოკიძისა და შოთა არველაძის ნაცვლად, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო შეკრებაზე ვერ ჩამოვიდნენ, მთავარმა მწვრთნელმა "ზესტაფონიდან" დაიმატა სამი ფეხბურთელი. ლონლაძემ, ჩხეტიანმა და გოცირიძემ გუშინ პირველ ნაკრებში ივარჯიშეს. არ უვარჯიშია "ბლექბერნის" ქართველ ლეგიონერს ზურაბ ხიზანიშვილს, თუმცა, საპატიო მიზეზი ჰქონდა - გუშინ ზურა დაქორწინდა. "24 საათი" სულითა და გულით ულოცავს და ბედნიერებას უსურვებს ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელს.


კახი კალაძე: "ვფიქრობ, საინტერესო მატჩები გველის".

საწვრთნელმა პროცესმა 1,5 საათს გასტანა. დატვირთვებისთვის შემამზადებელი მოთელვითი ვარჯიშების ციკლის შემდეგ დარსაძემ მოკლე გადაცემებით 3-4-სვლიანი კომბინაციების დახვეწაზე გააკეთა აქცენტი. შემდეგ გუნდი ორ ნაწილად გაყო და ორი შეხებით "კვადრატი" ათამაშა. ეს ვარჯიში დაახლოებით 15 წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც იგივე ვარჯიში მთელმა გუნდმა მთელ მოედანზე დაამუშავა. თვალშისაცემი იყო ის გარემოება, რომ ნახევარ მოედანზე ორმხრივი თამაშის დროს, გარკვეულ სიტუაციებში, მალხაზ ასათიანი დაცვის ცენტრში, ხოლო კახა კალაძე დაცვის მარცხენა ფლანგზე მოქმედებდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ყაზახეთთან მატჩში დარსაძემ ხსენებულ ფეხბურთელებს სწორედ ამ პოზიციებზე დაავალოს თამაში. ეს კი სიახლე იქნება, რადგან გაიოზ დარსაძის ხელმძღვანელობით ჩატარებულ მატჩებში კალაძე დაცვის ცენტრში, ხოლო ასათიანი - გამთამაშებლის პოზიციაზე თამაშობდნენ (თუ არ ჩავთვლით დანიაში ხიზანიშვილის გაძევების შემდეგ განხორციელებულ იძულებით გადაადგილებებს). ვარჯიში სტანდარტული მდგომარეობების - საჯარიმო დარტყმებისა და კუთხურების ჩაწოდებით გაგრძელდა და ტრადიციული კარში დარტყმებით დამთავრდა.

"ვფიქრობ, საინტერესო მატჩები გველის. მართალია, სატურნირო მოტივაცია დაკარგული გვაქვს და სატურნირო თვალსაზრისით ეს მატჩები არაფერს წყვეტს, მაგრამ მაინც დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია. ნაკრებში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელია და ვფიქრობ, რომ მათ აღსაზრდელად, გუნდთან შესათამაშებლად და გამოცდილების შესაძენად ეს ორი მატჩი ძალზე მნიშვნელოვანია", - განაცხადა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ "24 საათთან" საუბარში.

"მილანის" ქართველმა ლეგიონერმა დანიაში განცდილ მარცხთან დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი: "დანიის ნაკრებთან დიდი ანგარიშით განცდილი მარცხის მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, ხიზანიშვილის გაძევება იყო. თითქმის 80 წუთი 10 ფეხბურთელით ვითამაშეთ. ხიზანიშვილის გაძევებამდე ჩვენს კართან ერთი სერიოზული მომენტიც კი არ შექმნილა, ხოლო გოლი, რომელიც დანიელებმა მანამდე გაგვიტანეს, სტანდარტული მდგომარეობის შედეგი იყო. ამის შემდეგ დანიელებმა კარგად გამოიყენეს ზედმეტი ფეხბურთელის უპირატესობა", - აღნიშნა ცხადაძემ.

"ძნელი მატჩები გველის. მართალია, ყაზახები მათ მოედანზე დავამარცხეთ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ყაზახეთის ნაკრებს შესარჩევ ტურნირში ჯერ ქულა არ მოუპოვებია და შეეცდება, თბილისში მაინც გატეხოს ნავსი. მით უმეტეს, ურთულესი თამაში იქნება საბერძნეთში. ევროპის ჩემპიონებს ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვების შანსი კიდევ აქვთ დარჩენილი. ამისთვის კი ჩვენთან მოგება სჭირდებათ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ევროპის ჩემპიონებისთვის რაიმეს დათმობას ვაპირებთ. საქართველოს ნაკრები ორივე მატჩის მოგებას შეეცდება", - განაცხადა "24 საათთან" საუბარში ვლადიკავკაზის "ალანიას" ქართველმა საყრდენმა ნახევარმცველმა ჯაბა კანკავამ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და ყაზახეთის ნაკრები გუნდების მატჩს, რომელიც ხვალ, საღამოს 8 საათზე დაიწყება, ქართველი გულშემატკივარი მხოლოდ ტელევიზორში ნახავს. ფიფას დისკვალიფიკაცია, რომელიც საქართველოს ნაკრებს უმაყურებლო სტადიონზე თამაშს ავალდებულებს, ხვალინდელ მატჩზეც ვრცელდება.

# ერთი ნაბიჯი

ჰოლანდიის ნაკრების მეკარე ედვინ ვან დერ საარი აღიარებს, რომ მისი ახლანდელი გუნდი არ არის ყველაზე ძლიერი ჰოლანდიის ისტორიაში. თუმცა, მარკო ვან ბასტენის ხელმძღვანელობით გუნდი უაღრესად ეფექტურად თამაშობს. ამჟამად ჰოლანდიის ნაკრები დასკვნითი შესარჩევი მატჩებისთვის ემზადება და თან ფინალურ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი აქვს.

ჰოლანდიის ნაკრები ამჟამად პირველ შესარჩევ ჯგუფს უდგას სათავეში. ის ჩეხეთის ნაკრებს 4 ქულით უსწრებს და თუ ხვალ პრაღაში ფრეს მიაღწია, ჰოლანდიელები ციკლის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე მოიპოვებენ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს. საერთოდ, ჰოლანდიელებს უჭირთ ხოლმე შესარჩევი ციკლის გადალახვა. წლევანდელი კამპანია კი ვან ბასტენის გუნდს ნათელ მომავალს უმზადებს.

"ჩვენ ჯერ კიდევ არ ვავლენთ ჩვენი ძალების მაქსიმუმს, - ამბობს ედვინ ვან დერ საარი, - ვფიქრობ, 1998 და 2000 წლების ფორმაციის ნაკრები უფრო გამოცდილი იყო. მაშინ უფრო მეტი იყო მაღალი კლასის ფეხბურთელი, მაგრამ შესარჩევი ციკლი ასე იოლად არასოდეს გადაგვილახავს".

შესარჩევი ციკლის დასაწყისში გუნდში მოვიდა ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვისაც ადრე ნაკრებში თავის გამოჩენის საშუალება არ ჰქონდა. ზოგი მათგანი გუნდში დარჩა და ნამდვილ ოსტატად იქცა, - განაგრძობს ვან დერ საარი, - თუ გერმანიის საგზურს მოვიპოვებთ, მაშინ ჩვენს განკარგულებაში კიდევ 8-9 თვე დარჩება. ვფიქრობ, საკმაოდ კარგი პერსპექტივა გვაქვს".

ედვინ ვან დერ საარზე უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ მარკო ვან ბასტენს აქვს უნარი მოიძიოს ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები და აიძულოს ისინი საერთაშორისო არენაზე ბოლომდე გამოავლინონ თავი. "მაგალითად ავიღოთ ხალიდ ბულახრუზი. ის თავმდაბალ "ვალვაიკში" გამოდის, მაგრამ ჰოლანდიის ნაკრებში გამოძახება დაიმსახურა. ბულახრუზმა მოახერხა თავის გამოჩენა და ერთი კვირის შემდეგ "ჰამბურგში" ამოყო თავი. ახლა კი ხმები გავრცელდა, რომ მისი პერსონით მიუნხენის "ბაიერნი" დაინტერესდა. სწორედ ამაზე ვსაუბრობ. ვან ბასტენი იმ ფეხბურთელებსაც აკვირდება, ვინც გრანდებში არ თამაშობს", - ამბობს "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე.

ვან დერ საარმა ვან ბასტენის მუშაობის რამდენიმე მეთოდზეც ისაუბრა. "ჩვენს მწვრთნელს საკუთარი შეხედულება აქვს იმაზე, თუ როგორ უნდა ითამაშოს გუნდმა და რომელი ფეხბურთელები სჭირდება მას ამ მიზნის განსახორციელებლად. ვან ბასტენი ჩვენთან ერთად ხშირად უყურებს გასული თამაშების ვიდეოჩანაწერებს და ამა თუ იმ ეპიზოდზე ამახვილებს ყურადღებას. ის ეკითხება ფეხბურთელებს, რატომ მიიღეს მათ ასეთი გადაწყვეტილება ამა თუ იმ ეპიზოდში", - ამბობს ჰოლანდიის ნაკრების მეკარე.

"ის ფეხბურთელებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს და ცდილობს ისე მოიქცეს, რომ ფეხბურთელებმა შეცდომები აღარ გაიმეორონ. რა თქმა უნდა, ვან ბასტენი ახალგაზრდაა, მაგრამ მას არ ეთაკილება რაიმე ახალის სწავლა. მას ფეხბურთზე საკუთარი შეხედულება აქვს და იცის, როგორ უნდა ავარჯიშოს გუნდი", - განმარტავს ნარინჯისფერთა მეკარე.

ვან დერ საარმა ჰოლანდიის ნაკრებში 103 მატჩი ჩაატარა და უახლოვდება ფრანკ დე ბურის რეკორდს, რომელიც საერთაშორისო დონეზე 112 მატჩს ითვლის. თუ ჰოლანდიის ნაკრები გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით გამოვა, 34 წლის მეკარე აუცილებლად გააუმჯობესებს დე ბურის მიღწევას. თუმცა, ვან დერ საარი ამბობს, რომ მას არ აღელვებს პირადი მიღწევები. "რეკორდს თუ დავამყარებ, ძალიან მესიამოვნება. შევეცდები ყველაფერი ვიღონო ამისთვის. ამის მიუხედავად, არ შემიძლია ვთქვა, რომ ამ მიღწევაზე ვოცნებობდი".

"მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე ოცნებობს, რომელიმე ტიტული მოიპოვოს. უკვე 11 წელია, რაც ვან დერ საარი ჰოლანდიის ნაკრების ღირსებას იცავს. თუმცა, მიიჩნევს, რომ მისი გუნდისთვის უკეთესი წლები კიდევ წინ არის. "მე ჯერ ღირებული არაფერი მომიგია. არადა, სამჯერ ვიყავი მსხვილი ტურნირების ნახევარფინალში. მიმაჩნია, რომ ფინალში გასვლაც კი მიღწევა იქნებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ტურნირის მოგებაზე", - განაცხადა ჰოლანდიის ნაკრების მეკარემ.

მეკარეს კარგად ესმის, რომ ხვალ ჩეხებს დასაკარგი არაფერი ექნებათ. "მათ მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ, - ამბობს ვან დერ საარი, - ეს ჩეხეთის ნაკრებისთვის უკანასკნელი შანსია გავიდეს შესარჩევი ჯგუფის პირველ ადგილზე. ეს კი ჩვენთვის ერთგვარი უპირატესობაა. მასპინძლები შეგვიტევენ და დაცვაში ვაკუუმი შეექმნებათ. ჩვენ შევეცდებით, ეს ვაკუუმი გამოვიყენოთ. ძალიან კარგად ვიცით კარელ ბრუკნერის გუნდის შესაძლებლობები, მაგრამ ჩეხებსაც კარგად მოეხსენებათ ჩვენი რეალური ძალის შესახებ".


ედვინ ვან დერ საარი: "ვან ბასტენის ხელში ნაკრებს დიდი პერსპექტივა აქვს"

ფორმულა 1

# დავა კონსტრუქტორთა თასისთვის

*სამეფო რბოლათა მსოფლიო ჩემპიონატების ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი, "რენოს" ესპანელი მრბოლი, რომელმაც ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ეტაპით ადრე გაინაღდა ტიტული, კარს მომდგარ "იაპონიის დიდ პრიზზე" უკან დახევას არ აპირებს და გამარჯვებისთვის ბრძოლა განუზრახავს. მართალია, ტიტული უკვე აქვს, მაგრამ მოტივაცია უწინდელია. საქმე ისაა, რომ "რენო" კონსტრუქტორთა ჩათვლაშიც ახლოსაა ჩემპიონობასთან. თუმცა, ფრანგულ საჯინიბოს გაცილებით დიდი ბრძოლა ელის, რადგან სეზონის შუაწელიდან მათმა უშუალო კონკურენტმა მაკლარენელებმა სასწაულად მოუმატეს - კონსტრუქტორთა ჩათვლაში "რენოსთან" ორქულიანი უპირატესობა აქვთ.*

ამიტომაა, რომ 24 წლის ჩემპიონი "სუძუკას" ტრასაზე "მაკლარენ-მერსედესთან" ორთაბრძოლისთვის ემზადება.

სეზონის ბოლომდე ორი რბოლაა დარჩენილი. "მაკლარენმა" კი უკანასკნელ ხუთ რბოლაში პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. აქედან გამომდინარე, კონსტრუქტორთა თასისთვის ბრძოლა დანის პირზე სიარულს დაემსგავსა, რა თქმა უნდა, "რენოსა" და "მაკლარენს" შორის ქულათა მინიმალური სხვაობის გამო.

"ჩვენ რბოლა და, შესაბამისად, კიდევ ერთი ტიტული უნდა მოვიგოთ, - მიზანს ისახავს ესპანელი. - ყოველთვის მომწონდა იაპონიაში რბოლა და მიმაჩნია, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავს გავართმევთ".

რა ხანია, კონსტრუქტორთა თასთან ასე ახლოს არ ყოფილა არც "რენო" და არც "მაკლარენი". "ფერარი", რომელიც 1999 წლიდან ახლოს არავის იკარებდა, მოწინავეებს 66 ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა.

მაკლარენელთა თავკაცი რონ დენისი, რომლისთვისაც უმთავრესი საზრუნავი გუნდის ჩემპიონობა უნდა იყოს, საკუთარ მესაჭეებს კიმი რაიკონენსა და ხუან პაბლო მონტოიას გამარჯვებისკენ მოუწოდებს, თუნდაც ეს ტიტულის ფასად დაგვიჯდესო. საქმე ისაა, რომ დენისს ერთგვარი რეკორდის დამყარებაც განუზრახავს - სეზონზე მოგებულ რბოლათა რაოდენობა. 17 რბოლიდან "მაკლარენ-მერსედესმა" 9 რბოლა მოიგო: სამჯერ მონტოიამ და ექვსჯერ რაიკონენმა.

შარშან, როდესაც საჯინიბოები "სუძუკას" ავტოდრომზე გასასვლელად ემზადებოდნენ, ტაიფუნმა მა-ონმა კინაღამ ჩაშალა "იაპონიის დიდი პრიზი". შეგახსენებთ, რომ მაშინ შაბათის კვალიფიკაცია კვირადილისთვის გადაიტანეს, რბოლა კი მიხაელ შუმახერმა მოიგო.

წლეულს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს არც აქვს იმის იმედი, რომ შარშანდელ შედეგს გაიმეორებს, თუმცა, იმაში კი დარწმუნებულია, რომ კონსტრუქტორთა ჩათვლაში მესამე ადგილი "ფერარის" დარჩება.

"ჩვენი მიზანია ამჟამინდელი ადგილიდან არ ჩამოვქვეითდეთ. გაისად კი კონსტრუქტორთა ჩათვლაში პირველობისთვის ბრძოლა გვსურს. ის, როგორც ახლა გამოვდივართ, არანაირად არ აისახება საგაისო ჩემპიონატზე. იაპონიაში 100 პროცენტით დავიხარჯებით", - აცხადებს შუმახერი.

იაპონიაში წარმატებისთვის ბრძოლას აპირებს "BAR-ჰონდას" ბრიტანელი მესაჭე ჯენსონ ბატონი. რა თქმა უნდა, მშობლიურ კედლებში თავგამოდება განუზრახავს ბატონის თანაგუნდელ ტაკუმა სატოსაც.

"იაპონიის დიდი პრიზი" კი, წინდაწინვე ცხადია, რომ სანახაობრივად თვალსასეირო უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, "რენოსა" და "მაკლარენს" შორის დუელი გარდაუვალია.

საგულისხმოა, რომ ფრანგული საჯინიბო მეორე ტიტულის ხელში ჩასაგდებად საკუთარი ბოლიდების მოდიფიცირებას აპირებს.

"მაკლარენელებს სიჩქარეში ჩამოვრჩებით, მაგრამ ახლა უფრო მეტად მივუახლოვდით მათ ამ კომპონენტში. ასე რომ, სულისშემძვრელი რბოლა გველის", - ამბობს "რენოს" იტალიელი მრბოლი ჯანკარლო ფიზიკელა.

"რენოს" ტექნიკური დირექტორი ბობ ბელი კი მაკლარენელებს აფრთხილებს, რომ ფრანგებს კიდევ შეუძლიათ შეტევაზე გადასვლა: "არანაირი სიმპტომი არ არსებობს იმისა, რომ ჩვენ მოვდუნდით. კონსტრუქტორთა ჩათვლაში გამარჯვება მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი. ახლა, როდესაც ალონსომ ტიტული გაინაღდა, მისგან ჩვეული რბოლა თითქმის მოულოდნელია".


"რენოსა" და "მაკლარენის" ბრძოლა ბოლო ფაზაში შედის.

# ლაშა და შოკოლადი


შორენა შავერდაშვილი

**ლაშა ბუღაძე**: დღეს ვისაუბრებთ ახალი გამოცემების, კონკრეტულად "ცხელი შოკოლადის" და ზოგადად მკითხველების შესახებ. შორენა ("ცხელი შოკოლადის" რედაქტორი), იქნებ ორი სიტყვით მოგვიყვე ავტორების შესახებ, რომელთაც ბოლო ნომრის შექმნაში მიიღეს მონაწილეობა.

**შორენა შავერდაშვილი**: დავიწყებ სპეცპროექტით. პირველად მომიწია სპეცპროექტზე მუშაობა, ვიმოგზაურეთ ისრაელში და, მიუხედავად იმისა, რომ იქ სამი ძირითადი რესპონდენტი გვყავდა, აბსოლუტურად მოვიხიბლეთ ედგარ კერეტით და მკითხველისგანაც იგივე რეაქცია მოგვდის. ბუნებრივიცაა, კერეტი არის ყველაზე ცნობილი ახალგაზრდა ებრაელი მწერალი. ის უკვე ისწავლება სკოლებში, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან საკამათოა მისი მოთხრობები. კერეტამდე ისრაელში ამოს ოზის, ე.წ. "კიბუცნიკი" მწერლის, კულტი იყო. ედგარი კი წერს აბსურდულ გმირებზე, აბსურდული თემებით და, მიუხედავად იმისა, რომ აბრალებენ ანტიპატრიოტობას, ანტისიონისტობას, ყველასთვის ძალიან საყვარელი მწერალია. ჩვენ კი, ფაქტობრივად, პირველად გავაცანით ქართველ მკითხველს ახალი, ძალიან საინტერესო ავტორი.

მე ედგარ კერეტი დათო ტურაშვილმა გამაცნო და მისი ფოტომოთხრობაც სწორედ კერეტზეა. მათ ამერიკაში 11 სექტემბრის დღეებში გაიცნეს ერთმანეთი.

ახალ ამპლუაში მოგვევლინა ანა კორძაია-სამადაშვილიც, რომელმაც ახალი, ფოტოსერიალი შემოგვთავაზა.

**ლაშა ბუღაძე**: თქვენთან სერიალს ჯერ აკა მორჩილაძე წერდა, შემდეგ ზაზა ბურჭულაძე და რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ამ ავტორებთან ერთად ეძებდით ჟურნალისთვის ზედგამოჭრილ სერიალს. როგორ მიხვედით სასურველ შედეგამდე?

**შორენა შავერდაშვილი**: კარგია, როცა ჟურნალში მუდმივად ელოდები რაღაცას, რაც გრძელდება და იცი, რომ ნომრიდან ნომერში აუცილებლად დაგხვდება, თან თუ ამ ტექსტში არის ინტრიგა, თუ ის არის საინტერესო, ცოტა ინტელექტუალური და გასართობიც - მით უმეტეს. ამის გამო გვინდა, რომ სერიალი "ცხელ შოკოლადს" [illegible] ავტორები.

**ლაშა ბუღაძე**: თქვენს ჟურნალში ყოველთვის არის გასაცილოთ სპეც-პროექტებიც. ბოლო ნომერში ძალიან საინტერესო მასალაა ოთარ იოსელიანის ფილმის გადაღებიდან. იქნებ ჩაგვახედოთ შიდა სამზარეულოში და გვითხრათ, როგორ მოიპოვებთ მსგავს მასალებს.

**შორენა შავერდაშვილი**: ხან შრომატევადი დაგეგმვის შედეგად, ხანაც უბრალოდ გამართლებაზეა. ამჟერად გაგვიმართლა, რადგან ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ნიკო ტარიელაშვილი ოთარ იოსელიანის შვილიშვილია და ის ფილმზე ოპერატორის ასისტენტად მუშაობდა. მისი მეუღლე სალომე კიკალეიშვილი კი კინომცოდნეა და ისიც ესწრებოდა გადაღებებს. ასე რომ, მოხდა ამ ყველაფრის თანხვედრა და ასე შედგა ეს პროექტი.

**ლაშა ბუღაძე**: შენ დიდხანს ცხოვრობდი საზღვარგარეთ და დაბრუნდი ჟურნალის შექმნის იდეით. რატომ ჟურნალი და არა რომელიმე სხვა მედიასაშუალება?

**შორენა შავერდაშვილი**: ამ სურვილით ნამდვილად არ ჩამოვსულვარ. ჩამოსვლის შემდეგ ორი წელი ვმუშაობდი სტამბაში, შეხება მქონდა გამომცემლებთან, სარეკლამო სააგენტოებთან. შემდეგ ჩემს მეგობრებთან ერთად, რომელთაც სარეკლამო სააგენტო აქვთ, მივხვდი, რომ ჩვენს ქალაქში არ არის ჟურნალი, რომელსაც სიამოვნებით წავიკითხავდი. მე მქონდა გამოცდილება პოლიგრაფიაში, მათ ჰქონდათ რეკლამისა და მარკეტინგის გამოცდილება და ჩვენ-ჩვენი ცოდნა მოვახმარეთ ამ ჟურნალის კონცეფციის შექმნას. მიზნად დავისახეთ, გამოგვეცა ჟურნალი, რომელსაც კითხულობ საღამოს, ყავასთან, ან "ცხელ შოკოლადთან" ერთად და ისვენებ. ჩვენი ყველაზე დიდი კომპლიმენტი ასეთი იყო: თქვენი ჟურნალი მიდევს სასთუმალთან, ძილის წინ ვკითხულობ და ვიზოგავ.

**ლაშა ბუღაძე**: ანუ, ეს არის მსუბუქად ინტელექტუალური ჟურნალი, რომელიც გიქმნის წიგნის კითხვის ილუზიას. რაც შეეხება პოლიგრაფიულ დონეს?..

**შორენა შავერდაშვილი**: მგონი, მოძველდა წუწუნი იმის შესახებ, რომ ჩვენთან მაღალი ხარისხის გამოცემები არ იბეჭდება. საქართველოში ნამდვილად არის ორი-სამი სტამბა, სადაც ფანტასტიკური ტექნოლოგიური აღჭურვილობა აქვთ და მგონი, ამის კარგი მაგალითი ჩვენი ჟურნალიც არის.

**ლაშა ბუღაძე**: თქვენი ტირაჟი - 4 ათასი ცალი თვეში, საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა, საქართველოში გამოდის სხვა ტიპის ჟურნალები, რომელთაც ათიათასობით ტირაჟი აქვთ. რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?

**შორენა შავერდაშვილი**: ეს მარადიული შეკითხვაა. აწვდი ცუდს, ადამიანი თხოულობს უფრო ცუდს. ეს არის ჩაკეტილი წრე, რომელზეც ჩვენ ვმოძრაობთ. თუმცა, არაბუნებრივი იმაში, რომ ბულვარული პრესა ასეთი ტირაჟით იყიდება, არაფერია. ყველა ქვეყანაშია მსგავსი ნიშა, რომელიც ძალიან წარმატებულია.

**ლაშა ბუღაძე**: ვინ არის თქვენი რეგულარული მკითხველი?

**შორენა შავერდაშვილი**: გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ თვითონ ჩავატარეთ გამოკვლევა. გავაკეთეთ ბაზრის ზოგადი კვლევა, ჟურნალის ცნობადობა და შევისწავლეთ ამ ადამიანების პროფილი. აღმოჩნდა, რომ "ცხელი შოკოლადის" მკითხველებს შორის არიან ქალებიც და მამაკაცებიც. ისინი არიან 25 წელს ზევით, არიან საქმიანები. ანუ არიან საშუალო და მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე აქტიური ადამიანები.

**ლაშა ბუღაძე**: როგორც "ცხელ შოკოლადთან", ისე "ანაბეჭდთან" დაკავშირებით ხშირად გამიგონია, რომ ეს ჟურნალები სნობურია. რამდენად იზიარებ ამ აზრს?

**შორენა შავერდაშვილი**: ის ფაქტი, რომ ჟურნალს არ ვაკეთებთ ჩვენთვის და არც ახალი ტენდენციების დამკვიდრების პრეტენზია გვაქვს, თავისთავად გამორიცხავს ამას. ჩვენი მიზანია, "ცხელი შოკოლადი" მაქსიმალურად კარგი საკითხავი იყოს და მაქსიმალურად ბევრმა წაიკითხოს. ამიტომ ჩვენი თვითმიზანი სნობიზმი ნამდვილად არ არის. სნობური ჟურნალი გაიყიდებოდა ხუთასი ცალი, მას ვერ ეყოლებოდა 4 ათასი მკითხველი.

**ლაშა ბუღაძე**: შენი დამოკიდებულება ბაზარზე არსებული ჟურნალების მიმართ.

**შორენა შავერდაშვილი**: ცხადია, სუბიექტური ვიქნები და ამისთვის ნუ დამძრახავთ. ჩვენს გამოსვლამდე ბაზარზე არსებობდა "ამარტა" და "პირველი" - ამ უკანასკნელს უფრო სპეციფიკური ნიშა აქვს, ამიტომ აპრიორი ჩემთვის არასდროს ყოფილა. "ამარტაში" მეტი აქცენტია მოდასა და პარფიუმერიაზე, ამიტომ ჩემთვის ცოტა იყო მასში საკითხავი. გამოვედით ჩვენ და პარალელურად გამოვიდა "ანაბეჭდიც". თავიდანვე მივხვდი, რომ ძალიან განსხვავებული გამოცემა იყო და გამიხარდა, რადგან ის არ გამოდგა ჩვენი პირდაპირი კონკურენტი. გამიხარდა ისიც, რომ ბაზარზე გაჩნდა კიდევ სხვა ტიპის, კარგი პოლიგრაფიული ხარისხის ჟურნალი. თუმცა, რადგან თითქმის ერთდროულად გამოვედით, სულ გვადარებენ ერთმანეთს და მეც მსგავსებებისა და განსხვავებების ძიება დავიწყე. თუმცა, მაინც ვთვლი, რომ "ანაბეჭდი" ახალგაზრდული ჟურნალია. როგორც მკითხველი, "ანაბეჭდის" კითხვას მალე ვამთავრებ, რადგან მასში მეტია ვიზუალური მასალა. ეს კი ამ ორ ჟურნალს შორის პრინციპული განსხვავებაა - "ცხელი შოკოლადი" არის საკითხავი ჟურნალი ძალიან კარგი ფოტოებით.

**ლაშა ბუღაძე**: იქნებ თქვენი ახალი პროექტიც გაგვანდო.

**შორენა შავერდაშვილი**: ჩვენს ახალ პროექტს ჰქვია "დებიუტი", რომელიც არის ახალგაზრდა შემოქმედთა კონკურსი. ვცდილობთ, გამოვავლინოთ ახალი სახეები ლიტერატურაში, ილუსტრაციასა და ფოტოგრაფიაში - იმ სამ კომპონენტში, რომელიც ზოგადად ჟურნალისთვის არის აუცილებელი. ნამუშევრები მიიღება 10 ნოემბრამდე. ყოველდღე ათობით დაინტერესებული პირი გვირეკავს.

**ლაშა ბუღაძე**: ეთერშია ირინა ყაჭეიშვილი, "ამარტას" მთავარი რედაქტორი. ქალბატონო ირინა, გვითხარით, ვინ არის თქვენი მკითხველი.

**ირინა ყაჭეიშვილი**: მანამდე ნება მომეცით, რამდენიმე კომენტარი გავაკეთო. ვერ დავეთანხმები შორენას, რომ "ამარტა" არის მხოლოდ მოდაზე და მასში არ არის ინტელექტუალური ტიპის წერილები. ჩვენი ჟურნალი გაყოფილია ორ ნაწილად - არის მოდა, პარფიუმერია, კოსმეტიკა და მეორე ნაწილი მთლიანად უჭირავს - ხელოვნებას, ისეთ რუბრიკებს, როგორებიც არის "ვარსკვლავები", "მონარქები", "პერსონაჟები". და ის ხუთიათასიანი ტირაჟი ჩვენს სტაბილურ მდგომარეობაზე მეტყველებს.

შორენას ვერ დავეთანხმები ვერც იმაში, რომ პოლიგრაფიული ხარისხის პრობლემა ჩვენთან გადაწყვეტილია. ასე რომ იყოს, მე არ მომიწევდა ჟურნალის საფრანგეთში აწყობა და მოსკოვში ბეჭდვა.

**ლაშა ბუღაძე**: თქვენ თუ ჩაგიტარებიათ კვლევა იმის დასადგენად, ვისთვის აკეთებთ ჟურნალს?

**ირინა ყაჭეიშვილი**: მსგავსი კვლევა ყველამ უნდა ჩაატაროს, ვინც უშვებს პროდუქტს და სურს, რომ ის არსებულ ბაზარზე აცოცხლოს. წლეულს "ამარტა" ხუთი წლის გახდა. ამ ხნის მანძილზე წელიწადში სამჯერ ვატარებთ მსგავს კვლევებს. "ამარტას" მკითხველი "ანაბეჭდისას" ოდნავ ცდება - ჩვენ ნაკლები რაოდენობის თინეიჯერი მკითხველი გვყავს. მათი ასაკობრივი სეგმენტი ასე განისაზღვრება - 24-დან 60 წლამდე. მას შემდეგ, რაც "ამარტა" გახდება ყოველთვიური (ასეც იქნება - ეს ჩვენს გეგმებში შედის), მას აუცილებლად დაუვარდება ფასი. "ამარტა" გაძლევს ინფორმაციას ბოლო სამი თვის განმავლობაში არქიტექტურაზე, დიზაინზე, მუსიკაზე, კინოფესტივალებზე - რა ხდება საქართველოში და რა ხდება მსოფლიოში. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და გითხრათ, რომ "ამარტამ" აიღო საერთაშორისო ხარისხის ოქროს მედალი და ეს, მგონი, სასიხარულოა ყველასთვის.

**ლაშა ბუღაძე**: ჩვენი გადაცემა დასასრულს უახლოვდება. შორენა, გვითხარით მომავალი ნომრის ანონსი.

**შორენა შავერდაშვილი**: დავიწყებ გასვლითი სპეცპროექტით, რომელიც რამდენიმე ევროპულ ქალაქს მოიცავს - ამსტერდამს და ლაიპციგსაც. გარდა ამისა, ანა კორძაია-სამადაშვილი მიემგზავრება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე.

**ლაშა ბუღაძე**: არ შემიძლია, არ ვახსენო, რომ პირველად ფრანკფურტის ბაზრობაზე ჩნდება ქართველი ავტორის წიგნი გერმანულ ენაზე - აკა მორჩილაძის "სანტა ესპერანსა". დიდი მადლობა მობრძანებისთვის. იმედი ვიქონიოთ, რომ "ცხელი შოკოლადის", "ანაბეჭდისა" და "ამარტას" დონის ჟურნალები ჰეგემონურ პოზიციას დაიკავებენ ქართულ ბაზარზე.

# ირანული ანაბეჭდები

## კიბე-კიბე თავდაყირა

სოფო კილასონია

*ისტორია მათთვის სადაც გაჩერდა, ადამიანები თავდაყირა დამდგარან, ჩადრები არ იცვლება, სახეები იკარგება... ამბები ერთმ ზაიორ, თუმცა, შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი მაინც სადღაც შემორჩა, დარჩა ისე როგორც ფოკუს გარეშე სილუეტები. გაცილი დღევანდელი ბავშვობის თოჯინებთან ერთად დამწვარა, მაგრამ დეტალები დარჩა. ომი მოგონებად ვერაფრით იქცა, ისევ გრძელდება... N გალერეაში დღევანდელი ირანი ფოტო კადრებით გამოიფინა. გამოფენის იდეის ავტორი და ორგანიზატორი ჟურნალი "ანაბეჭდია".*





ხუთი ირანელი ფოტოხელოვანის ნამუშევრების თეთრ კედლებზე გამოფენის მაშინ გადაწყდა, როცა ჟურნალის რედაქციაში 78 ერთმანეთზე საინტერესო ფოტოებმა მოიყარა თავი. გამოფენა გუშინ საღამოს გაიხსნა. ამ მოვლენით "ანაბეჭდმა" საკუთარი დაბადებიდან ათი თვისთავი აღნიშნა.

რეალური ცხოვრება, ყოველდღიური მოვლენები - ეს ომიდ სალეჰის გატაცებაა. სერია "მძინარე მზეთუნახავი" ყველაზე მეტად სენტიმენტალური და "ყველაზე მეტად შავთეთრი" კადრებია. ირან-ერაყის ომის მსხვერპლი, 18 წელი კომაში მყოფი ჯარისკაცი დაუსრულებელი ომის სახეა წარმოდგენილი. "ეს ამბავი მაინც სიკვდილით დასრულდა. მისი მშობლებისთვის ომი 18 წლით მეტს გაგრძელდა" - იქვე ნაგვიწერე ფოტოების ავტორმა.

გალერეის პატარა დარბაზში მისი კიდევ ორი სერია. ფერებში დაფიქსირებული "შაქრის ლერწამი" და დრამატიზმით დანახული "ანტი კობრა" - ირანში ერთადერთი მეთევზე ქალის უფერული ყოფა.

შენებამ ვოლაუბანი ბევრად უფრო ხალისიანად უყურებს თანამემამულეებს. შავ-თეთრი ფოტო უყვარს, მაგრამ ადამიანებს ფერის გარეშე ვერ ტოვებს და ალაგ-ალაგ მათ აქსესუარებს მაინც აფერადებს. "ქალი ვარ და შემიძლია ოჯახის ყოფაში ჩავიხედო"- გვეწერს ქალბატონი აღმოსავლეთიდან და ამ ფრაზით იმაზე მეტს გვეუბნება, ვიდრე ერთი შეხედვით. ქალების თემა და პრობლემები ექსპოზიციაზე კიდევ გვხვდება. ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო მაინც შადი ყადირიანის კონცეპტუალური ფოტოსერიებია. "ისე როგორც ყოველდღე" - ანუ ნაირნაირი ჩადრები სახეების გარეშე და უკვე თანამედროვე სახეებით გაფორმებული "თანამედროვე ყაჯარები". არანაკლებ ამბიციურია ამ ქალბატონის მეუღლის პეიმან ჰუმმადზადეს "ულვაშები". ამ ავტორისთვის საყვარელი "დეტალები" თურმე ნებისმიერ პეიზაჟზე მეტად მეტყველია. გამოფენაზე კიდევ რამდენიმე ნამუშევარი იპყრობს ყურადღებას. არაშ ჰანი საკუთარი ქვეყნის წარსულს დაგლეჯილი თოჯინებით იხსენებს, მომავალს კი ნიჩბებზე მკითხაობით ეძებს. დამთვალიერებლის განსაკუთრებული მოწონება კი ქალის სახის "ფოკუს გარეშე" სილუეტებმა დაიმსახურა. შადი ყადირიანმა ამ შემთხვევაში მძიმე სამოსი გახადა საკუთარ გმირებს, თუმცა მათი სახეები პერსპექტივაშიც ვერ დაინახავს.

N გალერეაში წარმოდგენილი ეს ირანული ანაბეჭდები ის აღმოსავლეთი ნამდვილად არ არის, ირანში ჩასული ქართველი ან სხვა რომ დაინახავდა. მათი ცხოვრება ჩვენების საყვარელ ირანულ არაბესკებს მიღმა ან პარალელურად მიმდინარეობს. შესაძლოა, ის არც ისე შორეულია, როგორც გვგონია და არც ისე უცხო და უცნაური. იქაც დადიან ადამიანები, ისე როგორც ერთ-ერთ ფოტოში: კიბე-კიბე თავდაყირა.

ნინია კაკაბაძის სვეტი

# "პიესა" ერთ მოქმედებად



### თანამედროვე პიესების კონკურსში წარსადგენად

*სალამო. გაჩახჩახებული ქალაქი. განათებული მიდამო სხვადასხვა ფერის ლამპიონებით. ერთ-ერთ მოედანზე ბევრი ხალხია შეკრებილი. ისმის ჩუმად მოსაუბრე ადამიანების ერთობლივი ხმა, რომელიც ხმადაბალ ხმაურს ქმნის. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პილიციელები აქტიურად მოძრაობენ ხალხის გარშემო და მათ შევიწროებას სთხოვენ.*

**პოლიციელი** - წინ მიიწიეთ, წინ. გამთლიანდით, გამთლიანდით. აქედან ვერ დაინახავთ.

*ხალხი შევიწროებას იწყებს.*

**პოლიციელი** - ბავშვები წინა ხაზზე, ბავშვები დააყენეთ ახლოს.

*შევიწროებული, ერთ დიდ წრეში მოქცეული ხალხი, ჩუმად დგას და იცდის. მის მთლიანობას ჩქარი ნაბიჯით მომავალი ადამიანი არღვევს, რომელსაც უკან გულამოსკვნილ ადამიანთა პატარა ჯუფი მოჰყვება. ბელადი სასწრაფოდ კვარცხლბეკთან მიდის, დგება და ხმამაღლა იწყებს ლაპარაკს.*

**ბელადი** - მშობლიურო ჩემო მიწავ
**ხალხი** - მშობლიურო ჩემო მიწავ
**ბელადი** - შენს საყვარელ სახელს ვფიცავ
**ხალხი** - შენს საყვარელ სახელს ვფიცავ
**ბელადი** - რომ დავიცავ შენს დიდებას
**ხალხი** - რომ დავიცავ შენს დიდებას
**ბელადი** - წინაპართა ძვლებს დავიცავ
**ხალხი** - წინაპართა ძვლებს დავიცავ
**ბელადი** - დავაგეთ ასფალტი
**ხალხი** - დავაგეთ ასფალტი
**ბელადი** - გავალამაზეთ ქალაქი
**ხალხი** - გავალამაზეთ ქალაქი
**ბელადი** - გავხსენით ახალი შადრევანი
**ხალხი** - ახალი შადრევანი
**ბელადი** - მათ შორის მოცეკვავე შადრევანი
**ხალხი** - მოცეკვავე შადრევანი
**ბელადი** - გავაძლიერეთ ქართული ჯარი
**ხალხი** - გავაძლიერეთ ქართული ჯარი
**ბელადი** - შევქმენით სანდო პოლიციური სისტემა
**ხალხი** - შევქმენით პატრული
**ბელადი** - გავხსენით ახალი გვირაბი
**ხალხი** - გავხსენით ახალი გვირაბი

*ტელეჟურნალისტები და ოპერატორები ბელადის ირგვლივ არიან მობილიზებული. ამ დროს ერთ-ერთი ქვეშევრდომი, წინა ხაზზე მდგომ დაახლოებით 4 წლის ბავშვს ქეჩოში მოჰკიდებს ხელს და ბელადთან მიიყვანს. ბელადი ხელში იყვანს ბავშვს და ტელეკამერებისკენ აბრუნებს.*

**ქეჩოში დაჭერილი ბავშვი** - მე მიყვარს ჩემი პრეზიდენტი.

*ბავშვს თავის ადგილზე აბრუნებენ. ბელადი სიტყვით გამოსვლას აგრძელებს. კიდევ უფრო ხმამაღალ და ექსცენტრიულ ტონში.*

**ბელადი** - მე ვხედავ ბედნიერ სახეებს
**ხალხი** - ჩვენ ვხედავთ ბედნიერ სახეებს
**ბელადი** - ჩვენ ვებრძვით კორუფციას
**ხალხი** - ჩვენ ვებრძვით კორუფციას
**ბელადი** - ჩვენ გავალამაზეთ ქალაქი
**ხალხი** - გავალამაზეთ ქალაქი
**ბელადი** - დავუბრუნეთ აჭარას მისი ჭეშმარიტი სახე
**ხალხი** - დავუბრუნეთ აჭარას ჭეშმარიტი სახე
**ბელადი** - დავაწყნარეთ შავი ზღვა
**ხალხი** - დავაწყნარეთ შავი ზღვა
**ბელადი** - ტალღები აღარ შეაწუხებს დამსვენებელს
**ხალხი** - აღარ შეაწუხებს დამსვენებელს
**ბელადი** - გავფანტეთ ღრუბლები
**ხალხი** - გავფანტეთ ღრუბლები

ქვეშევრდომი, (სავარაუდოდ, ჩვენი დროის ერთ-ერთი გმირი), ტელეოპერატორებს ანიშნებს, ობიექტივი წინა ხაზზე მდგომი ბავშვებისკენ გადაიტანოს. კადრში ბავშვები მოჩანან, რომელნიც მონდომებულად ყვირიან.

**ბავშვები** - გრიშა, გრიშა, გრიშა!

*კიდევ უფრო ეგზალტირებული ბელადი ხმამაღლა, თითქმის ყვირილით აგრძელებს სიტყვას.*

**ბელადი** - ჩვენ შევაჩერეთ მოახლოებული მიწისძვრა
**ხალხი** - შევაჩერეთ 7 ბალიანი მიწისძვრა
**ბელადი** - შევაჩერეთ მეწყერი
**ხალხი** - შევაჩერეთ მეწყერი
**ბელადი** - გზა გადავუღობეთ და არ შემოვუშვით ქარბორბალა "კატრინა"
**ხალხი** - არ შემოვუშვით კატრინა
**ბელადი** - დავამარცხეთ ჩვენსკენ მომავალი გველეშაპი
**ხალხი** - დავამარცხეთ გველეშაპი
**ბელადი** - საქართველო აღარ ელის მეორედ მოსვლას
**ხალხი** - აღარ იქნება მეორედ მოსვლა
**ბელადი** - მე მოვედი რათა გიხსნათ თქვენ
**ხალხი** - ამინ
**ბელადი** - საქართველო გაბრწყინდება
**ხალხი** -საქართველო გაბრწყინდება

*ტელეკამერები ისევ ბავშვებისკენ მიმართავენ ობიექტივს, თან ჟესტიკულაციით აჩვენებენ - გაიღიმეთ, გაიღიმეთ.*

**ბავშვები** - გრიშა, გრიშა, გრიშა!

გახარებული და კმაყოფილი ბელადი, ისევ ჩქარი ნაბიჯით ტოვებს ტერიტორიას, უკან ჩვენი დროის გმირები, ქვეშევრდომები და აგიტატორები მიჰყვებიან. ხალხი ბელადის გარეშე რჩება. ისევ სიჩუმე. წამში მთელი მოედანი და ქალაქი ბნელდება. უკუნეთ სიბნელეში ხალხი სახლისკენ მიმავალ გზას, ხელების ცეცებით, ძლივს აგნებს.

#### ფარდა

**საექსპერტო კომისიის დასკვნა:**

პიესა იმდენად უნიჭოდ და არადამაჯერებლად არის მოფიქრებული და დაწერილი, რომ არც ერთი თეატრალური კლუბისთვისაც კი არ გამოდგება, არათუ დრამატული თეატრისთვის. ავტორი პიესის ფინალურ ეპიზოდში, სადაც ქალაქი ბნელდება, სიმბოლიზმის იმ მრავალნაცად და დაძველებულ ხერხს მიმართავს, რომელმაც ხელი შეუწყო უკანასკნელი წლების ქართული თეატრის რეგრესს. ასეთი ყალბი მხოლოდ დღევანდელი საქართველო და მასში მცხოვრები გმირები შეიძლება იყვნენ.

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

# წარმატებული რეფორმების 1 წელი








ჩვენ ვართ პირველები, ვინც:

- კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვა საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს – „საქართველოს ბანკის" აქციებზე ვორანტები განთავსდა ვენის საფონდო ბირჟის Dritter Markt-ის ლისტინგში
- გააკეთა კორპორატიული ობლიგაციების პირველი საჯარო შეთავაზება
- საქართველოსა და დსთ-ს სივრცეში დანერგა „ოფსეტ" იპოთეკური სესხები „იპო+", რომელიც იპოთეკურ სესხზე გადასახდელ საპროცენტო განაკვეთს საგრძნობლად ამცირებს
- სრული მოცულობით ნერგავს უნივერსალური საბანკო მომსახურების ბიზნეს მოდელს
- მომხმარებელს სთავაზობს ტრადიციულ საბანკო და საინვესტიციო საბანკო მომსახურებას და აგრეთვე სალიზინგო და სადაზღვევო პროდუქტების ერთობლიობას
- დანერგა საქართველოს საფინანსო სექტორში ახალი პროდუქტები პაკეტური მომსახურებით: მიკროსესხი +, იპო +, ავტო +, ანაბარი +, მოგზაური +, სტუდენტური სესხი + და უნივერსალური ანგარიშები
- გასწია ყველაზე მეტი ინვესტიცია თანამედროვე საბარათე პლატფორმის განსავითარებლად

| | 30/9/2004 | 30/9/2005 |
|---|---|---|
| პლასტიკური ბარათები | 30 000 | 55 120 |
| ბანკომატები | 17 | 40 |
| ბანკომატიდან თანხის გამოტანის % | 0.5-1.0 | 0.2 |

**ახალი პროდუქტები:**

იპო+
პროდუქტის გაშვების თარიღი – აპრილი 2005
დანერგვის შემდეგ პორტფელი გაიზარდა 15 067 778 ლარით და შეადგინა – 31 540 642 ლარი

ავტო+
პროდუქტის გაშვების თარიღი – მაისი 2005
5 თვის პორტფელი – 1 297 693 ლარი

ანაბარი+
პროდუქტის გაშვების თარიღი – 15 სექტემბერი 2005
ანაბარებზე განთავსებული თანხა გაიზარდა 3.5 მლნ. ლარით

მიკრო სესხი +
პროდუქტის გაშვების თარიღი – მარტი 2005
პორტფელი გაიზარდა 22 430 059 ლარით და შეადგინა 38 804 058 ლარი

უნივერსალური ანგარიშები
პროდუქტის გაშვების თარიღი – 15 სექტემბერი 2005
გახსნილია 4 314 ახალი ანგარიში

პირადი ბანკირი
9 ივლისიდან დღემდე ბანკი ემსახურება 363 კლიენტს

ლიზინგი
1 წლის განმავლობაში პორტფელი გაიზარდა 3 026 877 ლარით

საპენსიო ფონდი
დაარსებიდან 4 თვეში საპენსიო სქემით უკვე სარგებლობს 950 წევრი

კლიენტები

თანამშრომლები




საუკეთესო ბანკი საქართველოში

ინვესტორები

საქართველოს ბანკის კოლექტივს + თბილუნივერსალბანკისა და ბი. სი. აი.-ს კოლექტივი + საქართველოში დაბრუნებული 15 დასავლური განათლებისა და საფინანსო გამოცდილების მენეჯერი

= ყველაზე პროფესიონალური გუნდი საქართველოს საბანკო სექტორში

ჩვენ დავუთმეთ 1409 საათი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას

ჩვენს მიერ თანამშრომლებისთვის გადახდილი ან/და დარიცხული ბონუსები

2004 წელი:
1 839 399 ლარი

30/09/2005:
3 899 850 ლარი

| ძირითადი ფინანსური მონაცემები (ლარი) | 30/09/2004 | 30/09/2005 |
|---|---|---|
| მთლიანი აქტივები | 279 247 529 | 431 658 672 |
| სესხები | 158 205 584 | 265 110 763 |
| ფიზიკური პირების დეპოზიტები | 176 797 393 | 270 530 346 |
| კაპიტალი | 48 594 500 | 74 145 504 |
| შემოსავალი | 28 712 864 | 38 040 334 |
| წმინდა მოგება | 2 968 178 | 8 839 680 |
| აქციის საბაზრო ფასი | 3.80 | 6.73 |
| საბაზრო კაპიტალიზაცია | 37 451 303 | 87 255 890 |

1 წლის განმავლობაში საქართველოს ბანკის აქციები შეიძინეს (თავისთვის და თავიანთი კლიენტებისათვის) წამყვანმა საერთაშორისო ინსტიტუციონალურმა ინვესტორებმა

FIREBIRD MANAGEMENT LLC · EAST CAPITAL · Bank Austria Creditanstalt · SEB · VILNIAUS BANKAS · Finasta

ამ და სხვა ინვესტორების მიერ ჯამური ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკაში აღემატება 45 მლნ. ლარს

მაკა ეკიზაშვილი, ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი, ტელ: +995 32 444 256, ელ.ფოსტა ir@bog.ge
შოთა მაჭავარიანი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ტელ: +995 32 444 131, ელ.ფოსტა: smachavariani@bog.ge
საქართველო, თბილისი 0105, პუშკინის ქ. 3, ტელ +995 32 444 444, www.bog.ge

# "მოგზაურობა კავკასიაში" გრძელდება

*ცნობილი ფრანგი მწერალი და ალექსანდრე დიუმას პირველი სპეციალისტი კლოდ შოპი, მოწვეული საფრანგეთის საელჩოსა და ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მიერ, თბილისში ლიტერატურული მისიით იმყოფება. როგორც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტიპენდია "სტენდალის" სტიპენდიატი, ის მოგზაურობს ყველა იმ ქვეყანაში, რომელსაც იკვლევს. ამჟამად მუშაობს დიუმას ნაწარმოების "მოგზაურობა კავკასიაში" ქართული თარგმანის გამოცემის (2006 წელს) სამეცნიერო მხარეზე. ამზადებს შესავალს, შენიშვნებსა და კომენტარებს.*

სოფიო პეტრიაშვილი

**- ბატონო შოპ, როგორც ცნობილია, თქვენ პირველად არ სტუმრობთ საქართველოს.**

- საქართველოსთან ჩემს ნაცნობობას უკვე ოცდაჩვიდმეტი წლის ისტორია აქვს. პირველად 1968 წელს ვეწვიე თბილისს, როგორც მოსკოვში ჩამოყალიბებული სტუდენტური თეატრალური დასის წევრი და მოყვარული მსახიობი (ერთ-ერთ დადგმაში გამოვდიოდი). მეორედ, უკვე მრავალი წლის შემდეგ, დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის გახსნისას გახლდით ბატონ დომინიკ ფერნანდესთან ერთად. ჩვენ, როგორც დიუმას მკვლევარებმა, ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კონფერენციაც გავმართეთ. მესამედ კი მაშინ ჩამოვედი, როდესაც ფოთში დიუმას ძეგლი დაიდგა.

**- თქვენ ბრძანდებით დიუმას შემოქმედებისა და ბიოგრაფიის მკვლევარი. რამ განაპირობა ეს არჩევანი?**

- თავდაპირველად ინსტიტუტში სადიპლომო ნაშრომის წერისას "აღმოვაჩინე" დიუმა. სხვა სიტყვას ვერც ვპოულობ. ბუნებრივია, მის შემოქმედებას მანამდეც ვიცნობდი, მაგრამ მაშინ, როდესაც ჩემი თემისთვის მასალებს ვეძებდი, ის სულ სხვა კუთხითა და სახით წარმომიდგა. ჩემს თვალწინ აქამდე უცნობი დიუმა გაცოცხლდა... ეს დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის წინ მოხდა. მას შემდეგ ამ თემაზე ვმუშაობ. საერთოდ, როდესაც რომელიმე მწერლის ბიოგრაფიას სწავლობ, მასთან ერთად ეცნობი მთელ იმ ეპოქას, რომელშიც ის ცხოვრობდა, რომელმაც ის შექმნა და ასევე ყველა მის თანამედროვე ცნობილ თუ უცნობ მწერლებსა და ხელოვანებს, რომლებთანაც მას მეგობრობა ან საერთოდ ურთიერთობა ჰქონდა. ახალგაზრდობაში მიღებული ძლიერი შთაბეჭდილების გარდა, ჩემი არჩევანი განაპირობა ასევე იმ ფაქტმა, რომ, მართალია, დიუმა პოპულარული მწერალია, იგი მაინც რამდენადმე მიტოვებულია კრიტიკის მიერ, რადგან მას მიიჩნევენ სახალხო და არაელიტურ მწერლად. ფაქტობრივად, არც ერთ უნივერსიტეტში არ მოიძებნება არანაირი ნაშრომი მის შესახებ. ხოლო მე, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, მუდამ დაინტერესებული ვიყავი იმ პიროვნებებით, რომლებიც, სამწუხაროდ, დაუმსახურებლად არიან დავიწყებას მიცემულნი. ჩემი ინტერესიც და არჩევანიც გახლდათ დაუმორჩილებლობა ამ საზოგადოებრივი აზრის მიმართ.

**- და მაინც, არსებობს რამდენიმე საინტერესო ნაშრომი, მაგალითად, ანდრე მორუას "სამი დიუმა". თქვენ როგორ შეაფასებდით მას?**

- ანდრე მორუას ეს ნაწარმოები უაღრესად ღირსეული ნაშრომია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ბიოგრაფია, ვისაც არ უნდა ეძღვნებოდეს და ვისი შექმნილიც არ უნდა იყოს, ძველდება და ამას კანონზომიერად მივიჩნევ. ეს მუდმივად განახლებადი პროცესია, რადგანაც კარგ მკვლევარსა და ბიოგრაფს შეუძლია ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი აღმოაჩინოს. საერთოდ, ბიოგრაფებისთვის დამახასიათებელია ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრების რაღაც რაკურსით აღწერა. მიუხედავად იმისა, რომ მორუა უდიდესი პროფესიონალია ამ სფეროში, მის მიერ დაწერილ ამ წიგნში რაღაც მაინც რჩება მისი ყურადღებისა და მიზანდასახულობის მიღმა. ეს რაღაც კი თავის ახალ მკვლევარს ელოდება.

**- თქვენ რედაქტირებას უკეთებთ დიუმას ახალ გამოცემებს. მისი ნაწარმოებებიდან რომელს გამოარჩევდით?**

- მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ მაინც შევეცდები: "ვიკონტ დე ბრაჟელონი", რომლის საქვეყნოდ ცნობილი მთავარი გმირები უკვე ხანში შესულნი წარმოგვიდგებიან და ნაწარმოებში მოვლენათა მსვლელობისას იღუპებიან. მის ყოველ ფურცელს თვალცრემლიანი ვკითხულობ. წიგნი ენით აუწერელ ემოციებს იწვევს, ერთი შეხედვით უბრალო და მარტივი სიტყვებით ულამაზესი აზრებია გადმოცემული. ჩემი აზრით, ეს თავადაც ერთ-ერთი ულამაზესი ნაწარმოებია...

საერთოდ, დავამატებდი, რომ დიუმას შემოქმედება თავისი დაუდგრომელი ხასიათით არაერთგვაროვანია, ანუ მასში არ არის ყველაფერი ზედმიწევნით კარგი, თუმცა, უმეტესი ნაწილი მის ჭეშმარიტ გენიასა და მწერლის უდიდეს ხელოვნებაზე მეტყველებს.

**- თავად თქვენი შემოქმედების შესახებ რას გვეტყოდით და რა წარმოადგენს თქვენი, როგორც მწერლის შთაგონების წყაროს?**

- ჩემი, როგორც მწერლის ჩამოყალიბებაში ისევ და ისევ დიუმას "დავადანაშაულებდი". სწორედ მან შემძინა იმის გაბედულება, რომ წერა დამეწყო.



კლოდ შოპი



ალექსანდრე დიუმა

რამდენიმე რომანის ავტორი ვარ. ჩემ მიერ შექმნილი რომანები ძირითადად ბიოგრაფიული ხასიათისაა, რომლებშიც აღვწერე სრულიად უცნობი, მაგრამ ნიჭიერი მუსიკოსისა და მსახიობების ცხოვრება. ისინი გარიყულნი და საზოგადოებისგან მივიწყებული ხელოვანები არიან. მათი პიროვნებებით უზომოდ მოვიხიბლე, რადგან თითოეულ მათგანში დიდი ძალა და გულახდილობა შევიგრძენი... საერთო ჯამში, როგორც მწერალი, მე სამყაროს ავსახავ არა ისე, როგორც მას ვხედავ, არამედ ისე, როგორც გააზრებული მაქვს.

**- რა მიმდინარეობებია თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში და რომელი მათგანის წარმომადგენლად მიიჩნევთ საკუთარ თავს?**

- თავიდანვე ხაზს გავუსვამ, რომ თანამედროვე ფრანგული ლიტერატურისთვის დამახასიათებელია განკერძოებები. დღეს ინდივიდებზე უფრო შეიძლება საუბარი, ვიდრე რაიმე ლიტერატერატურულ მიმდინარეობებზე. ამიტომ მათ ვერ გამოვყოფდი და თავსაც ვერც ერთ მათგანს ვერ მივაკუთვნებდი. სამწუხაროდ, შეინიშნება ერთგვარი გაყინვის ტენდენცია, თითქოს მწერლებს უკვე აღარაფერი აქვთ სათქმელი, ისინი განებივრებულ ბავშვებს მოგვაგონებენ... მერწმუნეთ, ძნელია მგეწონოს მწერალი, რომელიც არ გაძლევს ამის საშუალებას, რადგან პირველ რიგში თავადვე არის აღფრთოვანებული საკუთარი თავითა და შემოქმედებით. აქვე გულისტკივილით დავძენდი, რომ ხშირად ლიტერატურის ისტორია (როგორც მას ხშირად სჩვევია), არ არის სამართლიანი, ბევრი კარგი მწერალი იღუპება მისი "სიბრმავის" გამო.

**- ბატონო შოპ, ამჯერად რა მიზანი აქვს საქართველოში თქვენს ვიზიტს?**

- საქართველოში ჩემი სტუმრობის უპირველესი მიზანია, გავიცნო და მოვინახულო ყველა ის ადგილი, სადაც ალ. დიუმა იმყოფებოდა ორთვენახევრის განმავლობაში (ჯერჯერობით დიუმას მიერ მონახულებული ადგილებიდან მხოლოდ ფოთსა და გელათში ვიყავი). ამ მოგზაურობაზე დიდი ხანია ვოცნებობ, მით უმეტეს, რომ მომეცა საშუალება აღმომეჩინა მისი აქამდე უცნობი სამგზავრო დღიური, რისი წყალობითაც ცნობილი გახდა, რომ ის ასევე სტუმრობდა კახეთსაც, კერძოდ, თელავსა და ჭავჭავაძეების ულამაზეს ბაღს წინანდალში. აღწერილი აქვს ალაზნის ველიც. ამ და სხვა უამრავ ახალ ფაქტებზე ის დაწვრილებით საუბრობს თავის დღიურში, მაგრამ რატომღაც დუმს "კავკასიაში". დიდი სურვილი მაქვს მოვიძიო 1858 წლის ნოემბრიდან 1859 წლის 2 თებერვლამდე საქართველოში დიუმას მოგზაურობასთან დაკავშირებული არსებული მასალები. ვაპირებ გამგზავრებას ბაქოშიც, სადაც მან ასევე გარკვეული ხანი დაყო და შემდეგ ისევ საქართველოს დავუბრუნდები. მოგზაურობა, რომელიც დიუმას გზის გამეორებას ისახავს მიზნად კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში მისივე ეგიდით ხორციელდება.

**- დიუმას მსგავსად, თქვენც ხომ არ აპირებთ თქვენი მოგზაურობის აღწერას კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში?**

- უკვე დავიწყე კიდეც. შევეცდები ისეთივე ხალასი იუმორით ვიყო აღსავსე, როგორც დიუმა თავის "მოგზაურობა კავკასიაში". პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ როდესაც რომელიმე მწერლის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას სწავლობ, შენ იკვლევ მის წარსულს, მაგრამ ეს წარსული ხშირად შენს საკუთარ მომავალს განსაზღვრავს, სრულიად ცვლის შენს ცხოვრებას. ის, რომ ახლა მე საქართველოში ვარ, ამ მიზანშეწონილობის ერთ-ერთი დასტურია. ამიტომაც ვისურვებდი, რომ ჩემი მომავალი წიგნი მკითხველისთვის, განსაკუთრებით ქართველი მკითხველისთვის საკითხავად თბილი, გულახდილი და საინტერესო იყოს.

Kuzanov Clinic
კუზანოვის კლინიკა

ქართულ-ამერიკული რეკონსტრუქციულ-
პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგიის კლინიკა;
ლაზერული ცენტრი; თვალის სრული დიაგნოსტიკა
და ქირურგია;სტომატოლოგია;
კოსმეტოლოგია.

გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com
იქ, სადაც სილამაზე იქმნება.

მალე "24 საათის"
განახლებული
ინგლისური
ვერსია



Soon inovated
version of "24 hours"
in English

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს ჟურნალების, სტატბარათებისა და საქმის წარმოების ყდების შესყიდვაზე

| ჟურნალის ნომერი N | სახეობა | კატეგორია | დასამზადებელი რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | აღრიცხვის ჟურნალი | ჟურნალი სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა მომრიობის აღრიცხვისათვის | 675 |
| 2 | ანბანური ჟურნალი | სამოქალაქო საქმეთა რეგისტრაციისათვის (სამოქალაქო საქმეთა ალფაბეტური მაჩვენებელი) | 210 |
| 3 | ანბანური ჟურნალი | სისხლის სამართლის საქმეთა რეგისტრაციისათვის (სისხლის სამართლის საქმეთა ალფაბეტური მაჩვენებელი) | 210 |
| 4 | ანბანური ჟურნალი | ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა რეგისტრაციისათვის (ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა ალფაბეტური მაჩვენებელი) | 130 |
| 5 | ანბანური ჟურნალი | ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების რეგისტრაციისათვის (ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ჩამდენ პირთა ალფაბეტური მაჩვენებელი) | 130 |
| 6 | რეგისტრაციის ჟურნალი | სარეგისტრაციო ჟურნალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისათვის | 210 |
| 7 | ჟურნალი | ადვოკატური კონსულტაციების დასაბუთებელი წიგნი | 790 |
| 8 | აღრიცხვის ჟურნალი | გასული ფოსტის აღრიცხვის ჟურნალი | 590 |
| 9 | აღრიცხვის ჟურნალი | შემოსული ფოსტის აღრიცხვის ჟურნალი | 510 |
| 10 | ანბანური ჟურნალი | სააღსრულებო წარმოებათა რეგისტრაციისათვის (სააღსრულებო წარმოებათა რეგისტრაციის ალფაბეტური მაჩვენებელი) | 130 |
| 11 | რეგისტრაციის ჟურნალი | სააღსრულებო წარმოებათა რეგისტრაციისათვის | 130 |
| 12 | რეგისტრაციის ჟურნალი | ჟურნალი განაჩენის აღსრულების გადადების (გადავადების), სასჯელისაგან განთავისუფლების, თავისუფლების აღკვეთის მოხდის რეჟიმის შეცვლის და ნასამართლობის მოხსნის შესახებ საქმეების (მასალების) რეგისტრაციისათვის | 140 |
| 13 | რეგისტრაციის ჟურნალი | ჟურნალი სისხლის სამართლის სამართალწარმოების ლონისძიებათა გამოყენების (შეფარდების), გამოყენებაზე უარის თქმის, შეცვლის, გაუქმების ან ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობისა და საჩივრების რეგისტრაციისათვის | 230 |
| 14 | ანბანური ჟურნალი | მოწმეთა საქმიანობის შემოწმების (შემოწმების ვადის გაგრძელება) თაობაზე ნებართვის გაცემის შესახებ შუამდგომლობების რეგისტრაციისათვის) | 130 |
| 15 | აღრიცხვის ჟურნალი | ნივთიერ მტკიცებულებათა აღრიცხვის ჟურნალი | 140 |
| 18 | აღრიცხვის ჟურნალი | მისაღებში შემოსული დოკუმენტების (საქმეების) | 140 |
| | | ჟურნალი ოპერატიულ- სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე ნებართვების გაცემის შესახებ შუამდგომლობისა და მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული ოპერატიულ- სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობების რეგისტრაციისათვის | |
| 19 | რეგისტრაციის ჟურნალი | | 140 |
| 20 | რეგისტრაციის ჟურნალი | ჟურნალი მოწარმეთა საქმიანობის შემოწმების (შემოწმების ვადის გაგრძელების) თაობაზე ნებართვების გაცემის შესახებ შუამდგომლობებისა რეგისტრაციისათვის | 140 |
| 22 | ანბანური ჟურნალი | ოპერატიულ- სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე ნებართვის გაცემის შესახებ და მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული ოპერატიულ- სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობებისა და საჩივრების რეგისტრაციისათვის (ოპერატიულ- სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე ნებართვების გაცემის შესახებ და მოსამართლის გარეშე ჩატარებული ოპერატიულ- სამძებრო ღონისძიებებისა ცნობის შესახებ შუამდგომლობების და საჩივრების ალფაბეტური მაჩვენებელი) | 130 |
| 23 | ანბანური ჟურნალი | სისხლის სამართლის სამართალწარმოების იძულების ღონისძიებათაგამოყენების (შეფარდების) გამოყენებაზე უარის თქმის, შეცვლის, გაუქმების ან ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობებისა და საჩივრების რეგისტრაციისათვის (სისხლის სამართლის სამართალწარმოების იძულების ღონისძიებათა გამოყენების (შეფარდების) გამოყენებაზე უარის თქმის, შეცვლის გაუქმების ან ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობებისა და საჩივრების ალფაბეტური მაჩვენებელი | 130 |
| 24 | რეგისტრაციის ჟურნალი | ჟურნალი კერძო განჩინებათა (დადგენილებათა) და სასამართლოს (მოსამართლის) დავალებათა რეგისტრაციისათვის | 140 |
| 25 | ანბანური ჟურნალი | განაჩენის აღსრულების გადადების (გადავადების), სასჯელისაგან განთავისუფლების, თავისუფლების აღკვეთის მოხდის რეჟიმის შეცვლის და ნასამართლობის მოხსნის შესახებ საქმეების (მასალების) რეგისტრაციისათვის | 140 |

| დასახელება: სტატბარათები | რაოდენობა |
|---|---|
| I ინსტანცია | |
| სამოქალაქო და ადმინისტრაციული | 75000 |
| სისხლის სამართლის | 20000 |
| II ინსტანცია | |
| სამოქალაქო საქმეზე | 4200 |
| ადმინისტრაციულ საქმეზე | 5280 |
| სისხლის სამართლის საქმეზე | 4000 |
| საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში შემოსული შუამდგომლობები ბადრმოწმობის ვადის გაგრძელება | 1500 |
| საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში განსახილველი დადგენილებები | 2000 |
| | |
| საქმის ყდები | 130000 |

**/ზემოაღნიშნული საქონელი მოწოდებულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 2005 წლის 15 დეკემბრამდე, შეფუთულ მდგომარეობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N32 (შემოსასვლელი არსენას ქუჩიდან). ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში./**

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2005 წლის 24 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან.) ოთახი N408.
2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1. იურიდიული პირისათვის:

· *ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

· *ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

· *ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი პირები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან);*

2.2. ფიზიკური პირისათვის:

· ცნობა ქმედითუნარიანობის შესახებ (შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან);

· ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (შესაბამისი სასამართლოდან);

· ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (შსს საინფორმაციო ცენტრი);

3. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
4. საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვის შედეგები მონაცემების წარმომდგენ ყველა პირს წერილობით ეცნობება, საკვალიფიკაციო მონაცემების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;
5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს 2005 წლის 1 ნოემბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ;
6. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) ოთახი N 408.
7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ქეთევან სირაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 93.56.96.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "აკად. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი", საიდენტიფიკაციო კოდი N212841424, აცხადებს ღია ტენდერს სამედიცინო სახარჯი მასალებისა და შესაბამისი აპარატურის შესასყიდად და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს.
2. მიწოდების სასურველი ვადაა 2005 წლის 25 დეკემბერი DDP ქუთაისი.
3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 24 და 25 ოქტომბერს 10:00-დან 18:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;

გ) ცნობებს სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება(ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| N | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1. | | | |
| 2. | | | |
| . | | | |

ბ) ბოლო 2 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005წლის 31 ოქტომბერს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.
7. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას 2005 წლის 19 ნოემბერს 17სთ-მდე მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინოს სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.
8. **8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან(899-90-75-82), კახა ნურალიძისაგან (877-50-18-77), მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი.

*სატენდერო კომისია*

BSP

**შ.პ.ს. ბათუმის საზღვაო ნავსადგური**

**ბრძანება**

**ნავსადგურის 2004 წლის 17 აგვისტოს N 370/ა ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ !**

1. შეტანილი იქნას ცვლილება 17.08.2004 წლის "ბათუმის ნავსადგურში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ" N370/ა ბრძანებაში და მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით!

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

| N | ტვირთის სახეები | განზ. ერთ | ტვირთის კოდები HГСТ | ტვირთის კოდები ETCH | განაკვეთი (აშშ დოლარებში) |
|---|---|---|---|---|---|
| 9. | ლითონის ჯართი<br>ა) შავი და ფერადი ლითონების ჯართი ტრიმინგის გარეშე<br>ბ) შავი და ფერადი ლითონების ჯართი ტრიმინგით | ტონა<br>"-" | 7404<br>"-" | 316<br>"-" | 8.00 $<br>10.00 $ |

*შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"*

Quality system BVQI ISO 9002 UKAS Certified by Bureau Veritas

BSP

**შ.პ.ს. ბათუმის საზღვაო ნავსადგური**

**ბრძანება**

**მოცულობითი მსუბუქი ტვირთის სატარიფო განაკვეთის დაწესების შესახებ**

17.08.2004 წლის "ბათუმის ნავსადგურში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ" N370/ა ბრძანებაში არ არის განსაზღვრული მოცულობითი მსუბუქი ტვირთის ტარიფი.

აღნიშნულიდან გამომდინარე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ !**

1. შემოღებული იქნას მოცულობითი მსუბუქი ტვირთის ტარიფი!

| ტვირთის სახეობა | განზ. ერთ | ტვირთის კოდები HГСТ | ტვირთის კოდები ETCH | განაკვეთი (აშშ დოლარებში) |
|---|---|---|---|---|
| მოცულობითი მსუბუქი ტვირთი | | | | |
| - 10 კგ.-მდე- | ტონა | | | 70.00 $ |
| - 10 კგ.-დან 30 კგ.-მდე | ტონა | | | 20.00 $ |

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვე.ნებისთანავე.

*შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"*

Quality system BVQI ISO 9002 UKAS Certified by Bureau Veritas

## ორშაბათი 10.10

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ლუი" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" (გ) **13.30** მხ. ფილმი "სერიული მკვლელობები" (გ) **15.25** მულტფილმი "ლუი" **16.00** სერიალი "მეამბოხე სული" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სული" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "სამშობლო გველოდება" **23.00** რეალითი-შოუ "ბარი" **00.00** მხ. ფილმი "ჯოჯოხეთური ცათამბჯენი" (გ) (ერიკ ჟიუდორი) **02.20** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. **07.05** კრედიტი იმედისათვის. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ხმელთაშუა ზღვის აუზი. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** 25 გრადუსი ზამთარში. ვერლინე მორგენოსტის პრიზიორი, მხ ფილმი. რეჟისორი სტეფან ვუილე. 2004. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა. თვალსაზრისი. **24.25** უკანასკნელი წერილი. მხ ფილმი. რეჟისორი ფრედერიკ ვისემანი. 2002. **04.20** პირდაპირ თავში. ტელესერიალი.

### პირველი არხი

ორშაბათი **07.30** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ანესთეზიის ისტორია" **11.00** სერიალი "ანასტასია" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "ჯოვანას სიზმრები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "ქალი მეგობარი" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** სერიალი "საოცრებათა კუნძული" **16.30** დოკ. ფილმი "კოიოტი - უკანასკნელი გადარჩენილთაგან" **17.20** მულტსერიალი "ინსპექტორ გაჯეტის მოგზაურობა" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. სერიალი "ჰოლივუდი და დანაშაული" **19.00** სერიალი "ქალი მეგობარი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** დოკ. ფილმი "დღე - დი" **23.00** სერიალი "ეჭვი" **00.00** მხ. ფილმი "თქვენ გელოდებათ მოქალაქე ნიკანოროვა" (გ) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.15** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.45** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **10.30** მხ. ფილმი "თამაში ოთხ ხელში" **12.15** "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.45** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **13.00** სერიალი "დიელი და პასკო" **13.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **14.50** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **17.30** "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.15** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **22.35** მხ. ფილმი "წმინდა წელიწადი" (გ) (ჟან გაბენი) **00.00** მხ. ფილმი "უდაბნოს მთვარე" (15) (ენ არჩერი)

### მეორე არხი

**19.00** "ბაბილინა" **19.15** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.40** ახალი პროექტი **20.05** სპექტაკლი "ვაზის ყვავილობა" მე-2 ნ.

### იმედი

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.00** დროება **12.40, 16.25, 01.30** ტვ-მარკეტი **13.15** ქართ. ფილმი "არაჩვეულებრივი გამოფენა" **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 02.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.15, 02.10** იმედის მელოდიები **16.40** დოკ. სერიალი "გორდონის ზვიგენები" **17.10** სპ. პროგრამა "ასი" **17.40** ლატარეა "3ჩ3" **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.45** მხ. ფილმი "თაღლითი" (15) (ე. მაკგრეგორი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** "ახალი ამბები" **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** სათავგად. ფილმი "აგენტი მეტსახელად სპოტი" **12.00** ფილმი-ფანტასტიკა "არმაგედონი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** თრილერი "მაპოუნის საკუთრება" **16.50** მულტსერიალი **18.00** "პროექტი მომავალი" **18.30** "ნოვოსტი" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** მუსიკა **21.30** "პროექცია" **22.00** დოკ. ფილმი **23.00** მხ. ფილმი "კრავთა დუმილი" **01.30** მუსიკა

### ОРТ

**05.05** "Первая программа". **06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Андрей Миронов в комедии **"БУДЬТЕ МОИМ МУЖЕМ!". 10.50** М. Пореченков в сериале **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 12.20** Многосерийный фильм **"РУССКОЕ ЛЕКАРСТВО". 13.30** А. Панкратов-Черный в фильме **"ДЕЙСТВУЙ ПО ОБСТАНОВКЕ!.." 15.10** "Лолита. Без комплексов". **16.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 17.00** "Федеральный судья". **18.10** "Кривое зеркало". **18.40** А. Домогаров в многосер. фильме **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"ОХОТА НА ИЗЮБРЯ". 22.30** Спецрасследование. "Насилие в семье". **23.40** Ночные новости. **00.00** Многосерийный фильм **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ". 01.10** Сандра Баллок в триллере **"ИСЧЕЗНОВЕНИЕ".** Скромный учитель химии Барни годами вынашивал план похищения женщины. Он продумал все очень тщательно. И его жертвой стала Диана, проводящая каникулы со своим другом Джеффом. Девушка исчезла бесследно. Прошло три года, а Диана так и не была найдена. Но Джефф не прекращает попыток ее отыскать. **03.05** Родди МакДауэлл в фильме **"ПРОЩАНИЕ С ПЛАНЕТОЙ ОБЕЗЬЯН". 3081** год. Астронавты Алан Вирдон и Пит Берк вместе с Галеном пытаются определить свое местонахождение. Неожиданно они замечают в море плот, к которому привязан полуживой старик. На руке у несчастного странный браслет. Гален знает, что таким образом "окольцовывают" людей из лагеря принудительных работ рыболовной зоны. Если старика найдут обезьяны, его обязательно убьют. Пытаясь понять, что же происходит в округе, Алан и Пит отправляются на разведку...и попадают в плен к обезьянам. Теперь им надо призвать на помощь всю свою изобретательность и ловкость, чтобы выбраться из западни...

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.15** "Вопрос... еще вопрос". **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Чистосердечное признание. **10.50** Кулинарный поединок. **11.50** Квартирный вопрос. **13.35** Сериал **"МАРШ ТУРЕЦКОГО". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6". 18.30** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ВЫСШАЯ МЕРА". 20.50** Сериал **"ЗОЛОТЫЕ ПАРНИ". 22.40** Сериал **"ВОСКРЕСЕНЬЕ В ЖЕНСКОЙ БАНЕ: Я ТЕБЕ НЕ ВЕРЮ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.20** "Школа злословия". Ток-шоу **01.15** "Все сразу!" с Петром Фадеевым. **01.45** Уоррен Битти в фильме **"БОННИ И КЛАЙД".** Романтическая история пары гангстеров - Бонни Паркер и Клайда Бэрроу, произошедшая в США в 30-е годы. Официантка захолустного кафе влюбляется в молодого грабителя. Их криминальный вояж по штатам Америки привлек внимание прессы. Но когда Клайд совершил убийство, на них открыла охоту полиция всех штатов... **03.55** Сериал **"БЕЗ СЛЕДА-II: НЕУДАЧНИК". 05.00** Сериал **"ОПЕРАТИВНИК".**

## სამშაბათი 11.10

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ლუი" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სერიალი "სამშობლო გველოდება" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ჯოჯოხეთური ცათამბჯენი" (გ) **15.25** მულტფილმი "ლუი" **16.00** სერიალი "მეამბოხე სული" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სული" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** რეალითი-შოუ "ბარი" **00.00** მხ. ფილმი "პრინცესა და მეომარი" (18) (ფრანკა პოტენტე) **02.20** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** ენრი ლანგლუას აჩრდილი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **12.15** შორს ბარბაროსებისაგან. მხ ფილმი. რეჟისორი ლარია ბეგაჟა. 1993. **16.30** ელუაზ რომეს გამოძიება. ტელესერიალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ამერიკული კრედო. დოკ. ფილმი. **20.25** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ. **03.00** სამხრეთის ანარეკლი. **04.20** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები.

### პირველი არხი

**07.30** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღე-დი" **11.00** სერიალი "ანასტასია" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "ჯოვანას სიზმრები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "ქალი მეგობარი" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** სერიალი "საოცრებათა კუნძული" **16.30** სერიალი "ეჭვი" **17.30** მულტსერიალი "ინსპექტორ გაჯეტის მოგზაურობა" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **19.00** სერიალი "ქალი მეგობარი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** დოკ. ფილმი "გლობალური დაჩრდილვა" **23.00** სერიალი "ეჭვი" **00.00** ქართ. მხ. ფილმი "წკიპურტები" (გ) **01.30** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **10.30** მხ. ფილმი "წმინდა წელიწადი" (გ) **12.15** "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.45** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** სერიალი "დიელი და პასკო" **13.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **14.50** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **17.30** "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.10** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **22.35** მხ. ფილმი "შენ სულელი ხარ" (გ) (მილა იოვოვიჩი) **00.00** მხ. ფილმი "პირისპირ" (18) (ჰავიერ ბარდემი)

### მეორე არხი

**19.00** "ბაბილინა" **19.15** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.40** პროფესიონალი **20.05** კინოსეანსი "ლოლიტა"

### იმედი

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.15** სერიალი "საბრალო ნასტია" **12.25, 13.40, 16.15, 17.10, 01.50** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.05** ტვ-მარკეტი **13.40** ნ. ქავთარაძის შოუ **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 01.40** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.40** დოკ. სერიალი "გორდონის ზვიგენები" **17.30** "პოლიციის აკადემია" **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** "პირველები" **23.30** მხ. ფილმი "ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ" (გ) (ო. ტოტუ)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** "ახალი ამბები" **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.30** დოკ. ფილმი **11.30** კომედია "შური" **13.30** "დებატები" (გან) **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** მხ. ფილმი "ერთხელ მიდლენდში" **16.50** მულტსერიალი **18.05** მუსიკა **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "სპორტი" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** მხ. ფილმი "გონების თამაშები" **23.30** მუსიკა **00.15** მხ. ფილმი "აუზი"

### ОРТ

**05.05** "Первая программа". **06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ОХОТА НА ИЗЮБРЯ". 10.20** М. Пореченков в сериале **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 11.30** "Идолы". "Любимая блондинка Хичкока". **12.20** Многосерийный фильм **"РУССКОЕ ЛЕКАРСТВО". 13.30** Дисней-клуб: "Кряк-бряк". **13.50** Фильм Павла Шеремета "Осетровая война". **15.10** "Лолита. Без комплексов". **16.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 17.00** "Федеральный судья". **18.10** "Кривое зеркало". **18.40** Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ". 19.50** "Пусть говорят" с Андреем Малаховым. **21.00** Время. **21.30** Сериал **"ОХОТА НА ИЗЮБРЯ". 22.30** Док. фильм "Тело государственной важности". **23.40** Ночные новости. **00.00** Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ". 01.10** Дастин Хоффман в комедии **"ПЛУТОВСТВО: ХВОСТ ВИЛЯЕТ СОБАКОЙ".** До выборов президента США на второй срок остается меньше двух недель. На полную мощь раскручена рекламная компания под лозунгом "Коней на переправе не меняют". Все соперники президента далеко позади. И вдруг, как гром среди ясного неба - скандал. Президент на несколько минут уединился с девочкой, осматривающей Белый Дом, в своем кабинете. Президентская команда срочно вызывает в Вашингтон специалиста экстра-класса по PR. Тот берет себе в помощь голливудского продюсера. Чтобы отвлечь нацию от президентского "преступления" они начинают разыгрывать масштабный сценарий, в котором есть и война с Албанией, и новые модели самолетов, и даже солдаты, забытые на поле боя. В реализации сценария принимают участие все средства масс-медиа. Вымышленные персонажи становятся народными героями, но в любую минуту действие может выйти из под контроля своих творцов. **03.05** Пол Гилфойл в фильме **"ЦИФРА".** Аллен Куимп, бывший агент ЦРУ, вдруг становится объектом внимания среди местных женщин. Секрет возникшей популярности прост: дамы решили нанять его для частных расследований. Но, как оказалось, вся суета вокруг него была создана стараниями его жены Дэйзи, которая не могла смириться с неудачной карьерой мужа. Казалось бы, уже ничто не может противостоять решительной атаке супруги и ее безумных подруг, как вдруг Аллен получает долгожданное спецзадание и едет в охваченную революцией Кубу, где его ждет невероятное и рискованное приключение...

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.15** "Вопрос... еще вопрос". **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **10.50** Ток-шоу "Принцип домино". **11.55** Сериал **"ВЫСШАЯ МЕРА". 13.30** Для тебя. **14.30** Сериал **"ЗОЛОТЫЕ ПАРНИ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА". 17.25** Сериал **"БАЯЗЕТ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ВЫСШАЯ МЕРА". 20.50** Сериал **"ЗОЛОТЫЕ ПАРНИ". 22.40** Сериал **"ВОСКРЕСЕНЬЕ В ЖЕНСКОЙ БАНЕ: ЕЩЕ РАЗ ПРО ЛЮБОВЬ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.20** Мелани Гриффит в комедии **"ДИКАЯ ШТУЧКА".** Преуспевающий бизнесмен Чарльз Дригз случайно знакомится с очаровательной и взбалмошной Лулу. Она сажает Чарльза в свою машину и увозит в Пенсильванию - на вечеринку с бывшими одноклассниками, где представляет его своим мужем... **02.40** Бильярд. **03.20** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО-VI". 04.15** Сериал **"БЕЗ СЛЕДА-II: ВОЗРОЖДЕНИЕ". 05.10** Сериал **"ОПЕРАТИВНИК".**

## ოთხშაბათი 12.10

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "რეინჯერები" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "პლუმბუმი ანუ სახიფათო თამაში" (გ) **15.25** მულტფილმი "რეინჯერები" **16.00** სერიალი "მეამბოხე სული" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სული" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "სასოწარკვეთილი დიასახლისები" **23.00** რეალითი-შოუ "ბარი" **00.00** მხ. ფილმი "კორდებალეტი" (გ) (მაიკლ დუგლასი) **02.30** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** ღმერთები და დემონები. დოკ.ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: გურმანი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** მეგობარი ფრიცი. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟანლუი ლორენცი. 2001 **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ველური ამაზონიისაკენ. დოკ. ფილმი. **23.00** აკუსტიკა. ვერონიკ სანსონი. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **04.20** ელუაზ რომეს გამოძიება. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**07.30** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "გლობალური დაჩრდილვა" **11.00** სერიალი "ანასტასია" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "ჯოვანას სიზმრები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "სიკვდილის ოთახი" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** სერიალი "საოცრებათა კუნძული" **16.30** სერიალი "ეჭვი" **17.30** მულტსერიალი "ინსპექტორ გაჯეტის მოგზაურობა" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **19.00** სერიალი "სიკვდილის ოთახი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის ცენტრიდან" **23.00** "ახალი პროექტი" **23.30** სერიალი "ეჭვი" **00.30** მხ. ფილმი "ზვიგენთა ზონა" (12) **02.00** საინფ. გამოშვება

### მზე

